ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК приказов и инструкций

Министерства просвещения Грузинской ССР

**1**

იანვარი

თბილისი — 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/II-64 წელი. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა $5^1/_2$

**ფასი 10 კაპ.**

შეკვ. 13.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

### 1963—1964 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

1963 წლის 27 დეკემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1963—1964 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით დროულად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, რუსთავის, ზუგდიდის; ზუგდიდის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ქობულეთის, მახარაძის, გურჯაანის, ცხაკაიას, სამტრედიის, წყალტუბოს, ქ. თბილისის 26 კომისრების, ლენინის, 1 მაისის, ორჯონიკიძის, კიროვის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და წარმოება-დაწესებულებებმა ქმედითი დახმარება გაუწიეს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს და საბავშვო დაწესებულებებს მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში. მათი სახსრებით აშენებულია 49 სკოლის და 2 ბაგა-ბაღის შენობა. არსებული სკოლებისა და ბაგა-ბაღის შენობებს მიშენდა და დაშენდა 435 ოთახი და ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა 222 ოთახი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, გა-

ნათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1963—1964 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით დასაჯილდოებლად წარდგენილ იქნენ ქ. ქუთაისი, ქ. თბილისი და ზუგდიდის რაიონი.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს ქ. ტყიბულს, დარჩეს სიღნაღისა და მახარაძის რაიონებს, ხოლო მეოთხე გარდამავალი წითელი დროშა გადაეცეს ლანჩხუთის რაიონს. ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონებს და ქ. ტყიბულს მიეცეთ ფულადი ჯილდო 1000—1000 მანეთი თვითეულს.

დროშების გადაცემა მიენდოთ საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ლაშქარაშვილს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ლ. მაღლაფერიძეს.

3. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული" და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით შემდეგი ამხანაგები (სია თან ერთვის).

4. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველყონ სოცშეჯიბრების შედეგად მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცება და ამთავითვე გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი 1964—1965 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად; ფართოდ ჩააბან სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, წარმოება-დაწესებულებები და უზრუნველყონ სკოლები, სკოლა-ინტერ-

ნატები და საბავშვო დაწესებულებები შესაფერისი შენობებით და საჭირო ხელსაწყო-ინვენტარით.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს 1964 წლის 15 ოქტომბრამდე შეაჯამონ სოციალისტური, შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულება და შედეგების შესახებ პირველ ნოემბრამდე აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავ-რე ლ. **მაღლაფერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## იმ ამხანაგებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“

### ლანჩხუთის რაიონი

1. როყვა შოთა ირაკლის ძე — ჩოჩხათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

2. ანთაძე გივი ხალამპრეს ძე—ხორეთ-მოედნის კოლმეურნეობის თავ-რე;

3. ხოფერია გედევან კალენიკეს ძე—შრომისუბნის კოლმეურნეობის თავ-რე:

4. სარჯველაძე კუკური პართენის ძე—გულიანის კოლმეურნეობის თავ-რე;

5. გუჯაბიძე ელისე თომას ძე—შრომისუბნის კოლმეურნეობის თავ-რე, ამჟამად პენსიონერი;

6. ბარამიძე გალაქტიონ ნოეს ძე—ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს თავ-რე;

7. მშვიდობაძე დავით ივანეს ძე—ჩოჩხათის საშუალო სკოლის დირექტორი.

### ზუგდიდის რაიონი

1. ჩანტელია ივანე ივანეს ძე—დარჩელის საშუალო სკოლის დირექტორი;

2. გურალია ვალიკო ლევარსეს ძე—სოფ. ოქტომბრის „ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავ-რე;

3. ბერიშვილი კარლო ადამურის ძე—ნარაზენის ქართული საშუალო სკოლის დირექტორი;

4. კვარაცხელია სოლომონ იასონის ძე—ჯგალის საშუალო სკოლის დირექტორი;

5. ქვანია ვახტანგი აკაკის ძე—ლიის საშუალო სკოლის დირექტორი;

6. მიქავა ვლადიმერ ლუკას ძე—ფახულანის ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობის გამგეობის თავ-რე;

7. გოგია ანტონ კირილეს ძე—ნოჯიხევის საშუალო სკოლის დირექტორი;

8. ჭითავა ფლორა ნიკოლოზის ასული—ახალხიბულის საშუალო სკოლის დირექტორი;

9. სართანია ამბაკო ბიქტორის ძე—ზედაეწერის რვაწლიანი სკოლის დირექტორი;

10. კუკავა სოკრატი დივანის ძე—ცაცხვის რვაწლიანი სკოლის დირექტორი;

11. იოსავა ვალერიან ყირიმიას ძე—ხობის საშუალო სკოლის დირექტორი;

12. ახალაია დავით სამსონის ძე—შუაქვალონის საშუალო სკოლის დირექტორი;

13. ხორავა ვარლამ მიხეილის ძე—ხობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;

14. სურმავა ნიკოლოზი გალაქტიონის ძე—ხობის სარემონტო კანტორის უფროსი;

15. ბუკია ნელი ნიკოლოზის ასული—ხობის პიონერთა სახლის დირექტორი;

16. კვარაცხელია ვარლამ დიტოს ძე—ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე;

17. გუნავა გურამ იოსების ძე—საქართველოს ალკკ ზუგდიდის სასოფლო საწარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილე;

18. ლაგვილავა ფუფული იოსების ასული—ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

## ქალაქი ზუგდიდი

1. ემხვარი ნოდარი დიმიტრის ძე—ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი;

2. პაჭკორია მამანტი ილარიონის ძე—ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის დირექტორი;

3. მილორავა ირაკლი გერონტის ძე—ენგურსპეცმშენის სამმართველოს უფროსი;

4. აბსავა დავით ლევანის ძე—V საშუალო სკოლის დირექტორი;

5. ჩიქვანავა ილარიონი იოსების ძე—ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

## წყალტუბოს რაიონი

1. აბესაძე ოთარი გრიგოლის ძე—საქართველოს კპ წყალტუბოს სასოფლო საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი;

2. ღაჭავა რაჟდენ ვლადიმერის ძე—განათლების განყოფილების გამგე;

3. მანაგაძე გრიგოლ პლატონის ძე—დღნორისის საშუალო სკოლის დირექტორი;

4. გაბედავა გრიგოლ მელიტონის ძე—საწირის საშუალო სკოლის დირექტორი;

5. იოსელიანი სერგო ვარლამის ძე—საწარმოო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

## სიღნაღის რაიონი

1. ყოჩიშვილი ნიკოლოზი სტეფანეს ძე—ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავ-რე;

2. ფიროსმანაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე—გამარჯვების ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობის თავ-რე;

3. მამაიაშვილი ნიკოლოზი პეტრეს ძე—ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

4. კობაიძე არსენ ალექსის ძე—ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

5. მჭედლიშვილი ალექსანდრე ილიას ძე—სიღნაღის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

6. მირიანაშვილი ელენე ქრისტეფორეს ასული—ანაგის საშ. სკოლის დირექტორი;

7. ავაქიანი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—წითელი საბათლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ცხაკაიას რაიონი

1. ჯიქია დოროთე პავლეს ძე—სოფელ კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

2. გვასალია ალექსანდრე ლავრენტის ძე—სოფელ ხორშის „გამარჯვების“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

3. ლემონჯავა შოთა ანტონის ძე—სოფელ ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## იმ ამხანაგებისა, რომლებიც დაჯილდოებული არიან განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით

### ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი ს  რ ა ი ო ნ ი

1. ურატაძე ვარლამ გიორგის ძე—ნინოშვილის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

2. ფაცურია კოტე მოსეს ძე—შრომისუბნის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

3. მეგრელაძე მადლენა ფილიპეს ასული—ლესის საშ. სკოლის დირექტორი

4. ჩხაიძე გიორგი ისაკის ძე—ლანჩხუთის № 1 საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში

5. ამაღლობელი დავით ევლამპრის ძე—ლანჩხუთის № 1 საშ. სკოლაში დირექტორის მოადგილე. ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში

6. ურუშაძე ვალენტი ტარასის ძე—ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში

7. ქერქაძე ამირან გიორგის ძე—ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ინჟინერი

8. მარშანიშვილი ოლეგი დომენტის ძე—ჩოჩხათის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში

9. მიქანაძე ისიდორე სოლომონის ძე—ლანჩხუთის № 3 საშ. სკოლის დირექტორი

10. გოგუაძე ალექსანდრე ესეს ძე—ლანჩხუთის № 3 საშუა-

ლო სკოლის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში

11. კეკიშვილი ვალერიან ლავრენტის ძე—ქვიანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

12. ფირცხალაიშვილი ივლიანე მოსეს ძე—ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

## ზუგდიდის რაიონი

1. გერგედავა აკაკი ერასტის ძე—ცაიშის საშ. სკოლის დირექტორი

2. ეხვაია კალისტრატე გვარდლის ძე—ოქტომბრის საშუალო სკოლის დირექტორი

3. მირცხულავა ნორა პროფილეს ასული—ახალსოფლის საშ. სკოლის დირექტორი

4. ქორთუა ტიხონ ანდრონიკეს ძე—სეცერის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

5. აქუბარდია ივანე ომარის ძე—ფახულანის საშ. სკოლის დირექტორი

6. ძაძამია გალაქტიონ ქიბარის ძე—ჭალის საშუალო სკოლის დირექტორი

7. მაკალათია ნათელა ამბაკოს ასული—ხეთის საშ. სკოლის დირექტორი

8. ნაროშვილი აკაკი ალექსანდრეს ძე—ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი

9. ქარჩავა ალექსანდრე ერასტის ძე—შუა ხორგის საშუალო სკოლის დირექტორი

10. ქადარია ღუღუნი ალექსის ძე—რუხი აბასთუმნის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

11. კუტალია ჯუბუ გიორგის ძე—ქარიატის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

12. კაკულია ხარიტონ ვლადიმერის ძე—თორსის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

13. ჩუბინიძე ქეთო ვარდენის ასული—კიროვის დაწყებითი სკოლის გამგე

## ქ. რუსთავი

1. სულაძე ოთარი ნიკოლოზის ძე—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

2. ხარბედია ლუდვიგ სიმონის ძე—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტბიუროს მდივანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქ. ზუგდიდი

1. ფაცაცია ოთარი ამბაკოს ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის სამრეწველო საწარმოო კომიტეტის მდივანი

2. მაქაცარია გიორგი თადას ძე—ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

3. ჭითანავა ნოდარი ამბროსის ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის სამრეწველო საწარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილე.

4. ებრალიძე მირიან სილოვანის ძე—ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი

5. კოდუა გივი ვალერიანეს ძე—ენგურჰესის მშენებლობის პარტბიუროს მდივანი

6. შონია ციალა ბოჭოს ასული—ქ. ზუგდიდის № 1 რუსული 8 წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

7. მიქელაძე თინათინ ანდრიას ასული—ზუგდიდის № 16 საბავშვო ბაღის გამგე

8. ჯინჯოლავა ვალერი ნიკოლოზის ძე—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორი

9. მიქაია კარლო კირილეს ძე—ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე

## წყალტუბოს რაიონი

1. ინასარიძე მინაგო გიგოს ძე—ბროწეულას სკოლა-ინტერნატის დირექტორი

2. ტულუში იური ეპიფანეს ძე—საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ინჟინერი

3. ნიშნიანიძე შალვა პარმენის ძე—მუხიანის საშ. სკოლის დირექტორი

4. ჭეიშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე—ქვიტირის საშუალო სკოლის დირექტორი

5. ჯილესაშვილი ალექსანდრე ბესარიონის ძე—ჟონეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. ძიძიგური ვალენტინა კლიმენტის ასული—უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წყალტუბოს რაიკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიღნაღის რაიონი

1. ზედელაშვილი შოთა ვლადიმერის ძე—ჯუგაანის სასოფლო საბჭოს თავ-რე
2. გვრიტიშვილი მიხეილი გიორგის ძე—ზემო ქედის სკოლის დირექტორი
3. სოზაშვილი მიხეილი გიორგის ძე—მაღაროს კოლმეურნეობის თავ-რე
4. ალადაშვილი მიხეილი ზაქარიას ძე—არბოშიკის კოლმეურნეობის თავ-რე
5. კვირიკაშვილი ქრისტეფორე ზაქარიას ძე—ვაქირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
6. კოკოლიშვილი სოლომონი ალექსანდრეს ძე—ნუკრიანის კოლმეურნეობის თავ-რე
7. ფაშალიშვილი ბონდო გიორგის ძე—წითელწყაროს საკოლმეურნეობათაშორისო სააღმშენებლო საბჭოს თავ-რე

## ცხაკაიას რაიონი

1. ჭანტურია ნოე იასონის ძე—ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის დირექტორი
2. ჭანტურია სევერიანე კინტირიას ძე—ცხაკაიას 1-ლი სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე
3. მგალობლიშვილი ამირანი ვლადიმერის ძე—მეთერთმეტე საგზაო უბნის უფროსი
4. ბერაია ევგენი იაკობის ძე—სოფ. ხორშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
5. გოგინავა ბუხუტი აკაკის ძე—სოფ. უშაფათის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის თავ-რე
6. მორჩილაძე გივი აკაკის ძე—„საქსოფლტექნიკის" ცხაკაიას განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის ბრძანება № 1049

### სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების ვადების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში სკოლამდელ დაწესებულებებში ზაფხულის შემდეგ მუშაობის განახლების საქმეში ადგილი აქვს თვითნებურ გადავადებებს. ზოგიერთმა საბავშვო ბაღმა (ბაგა-ბაღმა) წელს მუშაობა განაახლა 15 სექტემბერს, ზოგმა 1—20 ოქტომბერს, ხოლო ზოგ საბავშვო ბაღში ოქტომბრის ბოლოსათვისაც კი არ იყო აღდგენილი მუშაობა (ქ. თბილისის მე-6 ბაგა-ბაღი, ყვარლისა და ახალციხის საბავშვო ბაღები და სხვა). ამის გამომწვევი მთავარი მიზეზი ის არის, რომ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებანი არ ღებულობენ ქმედით ზომებს, რათა სკოლამდელი დაწესებულებების შენობის შეკეთება, სასწავლო ნივთებითა და საჭირო ინვენტარით მათი მომარაგება დროულად იქნეს განხორციელებული.

სკოლამდელ დაწესებულებებში, სასწავლო წლის დაწყების საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განემარტოთ განათლების ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს, სკოლამდელი დაწესებულებების გამგეებსა და მუშაკებს, რომ სკოლამდელი დაწესებულებანი მუშაობას ატარებენ მთელი წლის განმავლობაში და მისი შეწყვეტა მცირე ვადით ხდება მხოლოდ საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებს, ს/ო ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობის განახლება, როგორც წესი, ხდებოდეს 10 სექტემბერს.

3. იმ სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებსაც გასაკეთებელი აქვთ შენობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, სამუშაოების ჩატარება დაიწყონ იმ ვარაუდით, რომ საბავშვო ბაღ-

ში (ბაგა-ბაღში) მუშაობის განახლება ხდებოდეს დაწესებულ ვადებში.

ს. დაწესდეს, რომ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საბავშვო ბაღი (ბაგა-ბაღი) მუშაობის დაწყებას ვერ ახერხებს 10 სექტემბერს, სასწავლო წლის დაწყების განვადების შესახებ ნებართვას იძლევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის ბრძანება № 1050

### თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-პედაგოგიური მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ამ რაიონის სკოლამდელი დაწესებულებები ძირითადად შეგუებულ შენობებშია მოთავსებული. ბინის მხრივ დიდ სივიწროვეს განიცდიან 35-ე, 57-ე საბავშვო ბაღები. მე-3, მე-15, 24-ე, და 57-ე საბავშვო ბაღებს სრულიად არ აქვთ ეზოები, ხოლო 35-ე, 66-ე საბავშვო ბაღებისა და მე-5 ბაგა-ბაღის ეზოები კეთილმოუწყობელია და სკოლამდელ დაწესებულებათა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

საბავშვო ბაღების დიდ ნაწილში აღსაზრდელთა შორის ესთეტიკური აღზრდის ჩვევები არ ინერგება. 35-ე საბავშვო ბაღში (გამგე რ. ლეჟავა) აღსაზრდელები ლურჯ ხალათებს ატარებენ, აღმზრდელებს მოუწესრიგებელი ტანსაცმელი აცვიათ, ხოლო დამლაგებლებს —ჭუჭყიანი. მე-3 საბავშვო ბაღში (გამგე ც. კიკნაძე) ხმარებაშია ბავშვთა ასაკისათვის შეუფერებელი სათამაშოები, სურათები უწესრიგოდაა განლაგებული; ამავე საბავშვო ბაღში სადილს ბავშვებს თუნუქის კასრებიდან (ვედროდან) აწვდიან.

მე-15-საბავშვო ბაღში (გამგე თ. ლოლუა) მაგიდის სუფრებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ—სუფრას მაგიდაზე აფარებენ ჭამის შემდეგ. ზოგიერთ საბავშვო ბაღში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. მე-3, 66-ე საბავშვო ბაღებში მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვა ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მე-10 ბაგა-ბაღში უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა თ. კაჭარა-

ვამ მეცადინეობის სახე „დეკორაციული ხატვა“ დაბალ დონეზე ჩაატარა; აღმზრდელმა ბავშვებს ნახატის ნიმუში სწორად ვერ უჩვენა, რის გამოც ყველა ბავშვმა ნახატის დანახვა ვერ მოახერხა და სამუშაოც ვერ შეასრულა, ბავშვების დაინტერესება ვერ შეძლო, მათი ნამუშევრების სწორი ანალიზი ვერ გააკეთა, რამაც ხმაური და უწესრიგობა გამოიწვია. სასწავლო ნივთების მოვლის, ხმარებისა და შენახვის ჩვევები გამომუშავებული არ არის, მეცადინეობის შემდეგ ბავშვებმა უწესრიგოდ დატოვეს სასწავლო ნივთები, მაგიდები და სკამები.

66-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ე. ჭანტურიამ მეცადინეობა კონსტრუირებაში არაორგანიზებულად დაიწყო; ბავშვები თანაბრად არ იყვნენ განაწილებული მაგიდებთან, აღმზრდელმა ვერ შეძლო ყველა ბავშვის მეცადინეობაში ჩაბმა, ისინი სხვადასხვა საქმით იყვნენ გართული, რის გამოც მეცადინეობა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, აღმზრდელი იძულებული გახდა ბავშვების ნაწილი ოთახიდან გაეშვა. ასევე უფერულად ჩაატარა მეცადინეობა ამავე საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ნ. შარაშენიძემ და 35-ე საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა დ. ორჯონიკიძემ.

ოქტომბრის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში, კერძოდ, მე-5 ბაგა-ბაღში (გამგე ვ. ისაკაძე, მზარეული დ. ლაცოშვილი) 66-ე ბაღში (გამგის მოვალეობის შემსრულებელი მ. ხალატოვა, მზარეულის მოვალეობის შემსრულებელი ე. ნაბიაშვილი) 24-ე საბავშვო ბაღში (გამგე ლ. წიქვაძე, მზარეული ვ. ანგუროვა); 94-ე საბავშვო ბაღში (გამგე ვ. მიმინოშვილი, მზარეული ნ. სყიდაშვილი მე-15 საბავშვო ბაღში (გამგე თ. ლოლუა, მზარეული კ. გუტმანი), მე-10 ბაგა-ბაღში (გამგე ნ. რამიშვილი) სისტემატურად ირღვევა კვების ნორმები და ბავშვები დაწესებულ ულუფას ვერ ღებულობენ.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილება საჭირო დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევს სკოლამდელ დაწესებულებებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება:

ბ) აღმზრდელთა მუშაობაზე სისტემატური კონტროლითა და

დახმარებით მიაღწიონ სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესებას;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის სწორად აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს;

დ) უზრუნველყონ საბავშვო ბაღები (ბაგა-ბაღი) სასწავლო ნივთებით, სათამაშოებით, დიდაქტიკური მასალებითა და სპორტული ინვენტარით;

ე) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ აღმზრდელთა მუშაობას, მეცადინეობები ჩაატარონ ბავშვებისათვის მისაწვდომად და საინტერესოდ;

ვ) განტვირთონ სააღმზრდელო ჯგუფები ზედმეტი, გამოუყენებელი ინვენტარისაგან;

ზ) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელონ პროდუქტების სწორად ხარჯვაზე; სათანადო ზომები მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ვერ იმსახურებენ ნდობას, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელნი.

2. სუსტი მუშაობისათვის გამოეცხადოთ საყვედური მე-10 ბაგა-ბაღის აღმზრდელს თ. კაჭარავას, 66-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ე. ჭანტურიასა, ნ. შარაშენიძეს და 35-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელს დ. ორჯონიკიძეს.

3. პროდუქტების ხარჯვაზე სისტემატური კონტროლის უქონლობისათვის, რაც იწვევს კვების რეჟიმის უხეშად დარღვევას, გამოეცხადოთ საყვედური მე-5 ბაგა-ბაღის გამგეს ვ. ისაკაძეს, 66-ე ბაღის გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებელს მ. ხალატოვას, 24-ე საბავშვო ბაღის გამგეს ლ. წიქვაძეს, 94-ე საბავშვო ბაღის გამგეს ვ. მიმინოშვილს, მე-10 ბაგა-ბაღის გამგეს ნ. რამიშვილს და მე-15 საბავშვო ბაღის გამგეს თ. ლოლუას.

წინადადება მიეცეთ მათ სასწრაფოდ გამოასწორონ მდგომარეობა და გაფრთხილებულ იქნან, რომ მომავალში მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში ისინი მოიხსნებიან სამუშაოდან და გადაეცემიან პასუხისგებაში.

4. წინადადება მიეცეს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ქ. ჭანიშვილს გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლამდელ დაწესებულებებზე ხელმძღვანელობა და მის მიერ მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს განათლების სამინისტროს 1964 წლის 30 იანვრისათვის.

5. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლამდელი აღზ-

რდის დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 27 ნოემბრის ბრძანება № 1061

### სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებით 1964—65 წლებში ტარდება რაიონული, საქალაქო, ზონალური, რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეებში.

სპარტაკიადის დებულებით ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ხუთ სახეში: ავიამოდელიზმში, გემთმოდელიზმში, ავტომოდელიზმში, რადიოსპორტსა და მცირეკალიბრიან შაშხანიდან ტყვიით სროლაში.

სპარტაკიადის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარების მიზნით ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მონაწილეობა მიიღონ სპარტაკიადის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებისა და მსაჯთა კოლეგიების მუშაობაში, რისთვისაც დაამყარონ საქმიანი კავშირი დოსააფისა და კომკავშირის ადგილობრივ კომიტეტებთან;

ბ) მითითება მისცენ სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების დირექტორებს. რათა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩამოაყალიბონ წრეები (გუნდები), მასობრივად ჩააბან ამ მუშაობაში მოსწავლეები, სისტემატური მეცადინეობით, წვრთნითა და ვარჯიშით მიაღწიონ გუნდების სათანადოდ მომზადებას;

გ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ და დაეხმარონ სკოლებს სპორტული ბაზების (მარტივი ტიპის მოტოდრომების, საპლანერო და

რადიო სადგურების, სამოდელო ლაბორატორიების) მოწყობისა და მათი სასწავლო იარაღებით აღჭურვის საქმეში;

დ) 1964 წლის 20 იანვრამდე კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე მოისმინონ საკითხი სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

2. საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სათანადო ყურადღება მიაქციონ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სპორტის ტექნიკური სახეების (ავიასამოდელო, გემთსამოდელო, ავტოსამოდელო, რადიო და სასროლო სპორტის) განვითარებას. რისთვისაც იმ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ, ფაკულტატური მეცადინეობა მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში მჭიდროდ დაუკავშირონ ავიასამოდელო, გემთსამოდელო, ავტოსამოდელო და რადიო სპორტის შესწავლას;

ბ) სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეებში სათანადოდ მოამზადონ სასკოლო გუნდები და უზრუნველყონ მათი გაყვანა ორგანიზებულად შეჯიბრებებზე;

გ) 1964 წლის 25 იანვრამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლებთან არსებული სასროლი ტირები;

3. ნორჩ-ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (დირექტორი გ. ეპიტაშვილი):

ა) ჩაატაროს ავიამოდელისტთა, გემთმოდელისტთა და რადიოტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა 12 დღიანი რესპუბლიკური სემინარი, რომლის სასწავლო გეგმაში ფართოდ შეიტანოს სპარტაკიადის დებულებითა და პროგრამით გათვალისწინებული სპორტის ტექნიკური სახეები;

ბ) უზრუნველყოს ტექნიკური წრეები საჭირო რაოდენობის დამხმარე ლიტერატურით, მოწყობილობითა და მასალებით;

გ) მითითება მისცეს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, პიონერთა სახლებს, რათა ტექნიკური წრეების საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადებას.

4. ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტმა (ამხ. გ. მერკვილაძე):

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლებსა და ბავშვთა სასპორტო სკოლებში სასროლო სპორტის განვითარებას, რის-

თვისაც 1964 წლის გაზაფხულზე სპარტაკიადის პროგრამით ჩატაროს სროლაში გამარჯვებული გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრება მსოფლიოს ჩემპიონის შ. ქველიაშვილის სახელობის პრიზზე, ხოლო 1964 წლის ზაფხულში ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების პირველობაზე.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ბავშვთა სასპორტო სკოლების მსროლელთა ჯგუფების გახსნა იმ საშუალო სკოლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-2 სპორტული თანრიგის 2—3 მსროლელის მომზადებას; ამასთან, ასეთი ჯგუფების გახსნის საკითხის გადაწყვეტა, სათანადო შემოწმების შემდეგ, მიენდოს ფიზიკური აღზრდის მეთოდკაბინეტს.

6. სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა სკოლაში შეჯიბრებების ჩატარების დროს ზუსტად იხელმძღვანელონ სპორტის ამ სახეში შეჯიბრებათა ჩატარების მოქმედი ინსტრუქციით, პირადად დაესწრონ შეჯიბრებას, მტკიცედ დაიცვან და გაატარონ უსაფრთხოების ზომები.

7. კომისიამ, ბ. ფერაძის (თავ-რე), გ. მერკვილაძის, ა. ორახელაშვილის და გ. ეპიტაშვილის შემადგენლობით თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას და შედეგები პერიოდულად მოახსენოს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 10 დეკემბრის ბრძანება № 1109

## სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ რიგი სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელები დროულად შეუდგნენ ზამთრისათვის მზადებას. მაღალხარისხოვნად ჩაატარეს შენობა-ნაგებობათა რემონტი, წესრიგში მოიყვანეს კანალიზაცია, წყალსადენები და ელგაყვანილობა, საჭირო რაოდენობით მოიმარაგეს სათბობი მასალა, აღსაზრდელთათვის შეიძინეს თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან ზამთარს.

რუსთავის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ა. შარვაშიძე) დროულად გაიშალა ზამთრისათვას მზადება, ჩატარდა შენობა-ნაგებობათა რემონტი, წესრიგში იქნა მოყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, შეკეთდა გათბობის სისტემა, მოწესრიგდა ელექტრო-გაყვანილობის ქსელი და აღსაზრდელებისათვის შეძენილი იქნა საზამთრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. ზამთრისათვის კარგადაა მომზადებული ატენის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ა. საგანელიძე): შეძენილია საკმაო რაოდენობის სათბობი მასალა, შეკეთებულია კარ-ფანჯრების საკეტები, შექმნილია ნორჩ მეხანძრეთა რაზმი, დამუხტულია და წესრიგშია მოყვანილი 26 ცეცხლმაქრი, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატში (დირექტორი პ. მალანია) შენობა-ნაგებობათა რემონტისათვის გამოყოფილი 180 ათასი მანეთი ათვისებულია, დაიგო ასფალტი 2,0 ათას კვ. მეტრ ფართობზე, 2 ჰექტარ ფართობზე გაშენდა სკვერები და ხეივნები, დაიდგა სასმელი წყლის შადრევნები, აიგო საყარაულო ჯიხური, შეთეთრდა და ზეთის საღებავებით შეიღება სასწავლო და საძინებელი კორპუსების ოთახები, მოყვანილი იქნა წესრიგში გათბობის სისტემა, ელექტროგაყვანილობა, შეკეთდა სახურავი, კარ-ფანჯრები, დგამ-ავეჯი, აშენებულ იქნა სათბობი მასალის შესანახი ფარდული და კაპიტალურად შეკეთდა სპორტდარბაზი; შეძენილი იქ-

ნა ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი, წყლის კასრები, სილის ყუთები, ცეცხლმაქრები და სხვ. ელექტრო-გაყვანილობის ყუთებს გამოეკრა აზბესტი; ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. შეძენილია 261 ტონა ნახშირი 70 კუბომეტრი შეშა, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, პალტოებით, ქუდებით, სათხილამურო კოსტიუმებით, გოგონები თბილი კაბებითა და სხვ. ასევე კარგადაა მომზადებული ზამთრისათვის ქ. თბილისის № 2, ქ. სოხუმის № 1, ქ. ბათუმის № 3, ქ. ქუთაისის № 1, კასპის, თიანეთის, გეგეჭკორის, ზუგდიდის № 1, სიღნაღის, საგურამოს, ლანჩხუთის, გურჯაანის, კაჭრეთის, მახარაძის, კოხნარისა და ტაშისკარის სკოლა-ინტერნატები. კარგად მოემზადნენ აგრეთვე კოჯრის № 1, № 2, სურამის, ეწრის, ვაშლოვანის, ნორიოსა და შუამთის საბავშვო სახლები.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი ჯერ კიდევ არაა მზად ზამთრისათვის. აღსაზრდელთა საკმაოდ დიდ ნაწილს არა აქვს კალოშები, ხელთათმანები, შალის წინდები.

წალენჯიხის, სამტრედიისა და ფოთის სკოლა-ინტერნატების შენობა-ნაგებობანი მშენებელი ორგანიზაციების მიერ სრულყოფილად არაა დამთავრებული, დაუმთავრებელია გარე კანალიზაცია, თბოქსელი. ფოთისა და სამტრედიის სკოლა-ინტერნატები არაა უზრუნველყოფილი სამეურნეო და სასმელი წყლით, ბეთანიის სკოლა-ინტერნატში არაა წესრიგში სამრეცხაო, რის გამო თეთრეული გასარეცხად თბილისში ჩამოაქვთ, ხოლო ზედა ტანსაცმელს მოსწავლეების დახმარებით ადგილზე რეცხავენ. არაა დამთავრებული ელექტროკიოსკის მშენებლობა, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი არაა გატარებული; აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმლით, ყველგან არაა ჩასმული მინები, შენობა-ნაგებობათა რემონტისათვის გამოყოფილი 22.0 ათასი მანეთიდან შემოწმებისას ათვისებული იყო მხოლოდ 6.7 ათასი მანეთი.

სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატში არ მუშაობს წყალგაყვანილობა, საძინებელ ოთახებში კარ-ფანჯრები შესაცვლელია. სასწავლო კორპუსის სახურავის წყალსაწრეტი ღარები არაა წესრიგში, მწყობრიდანაა გამოსული მიწისქვეშა კაბელი, შენობების კედლები დეფორმირებულია, ეზო შემოუღობავია და სხვა.

ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატი აღსაზრდელებით ძალ-

ზე გადატვირთულია. სასწავლო კორპუსის ერთი სართული, სასადილო, მაშო და დასასვენებელი ოთახები, გამოყენებულია საძინებლად; სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია სახელოსნოსა და კაბინეტებისათვის ოთახები.

გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის ოთახებში ფანჯრების ჩარჩოებიდან შედის წყალი და ზიანდება კედლები და იატაკი, ინტერნატი სისტემატურად ვერ ღებულობს წყალს, აღსაზრდელებს აკლიათ კალოშები, ხელთათმანები, ქუდები და სხვ. დუშეთის სკოლა-ინტერნატში ჯერ კიდევ დაუმთავრებელია გარე კანალიზაცია, წყლის აუზის მშენებლობა და ეზოს შემოღობვა.

ბარისახოს სკოლა-ინტერნატს აკლია ფანჯრის მინები, არ აქვს სათბობი მასალის შესანახი ფარდული, არ არიან უზრუნველყოფილი თბილი ტანსაცმლით, აკლიათ 25 ცალი პალტო, 24 ცალი ქუდი, 133 წყვილი კალოში, 125 წყვილი ფეხსაცმელი და სხვ.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში ეზო არაა შემოღობილი, ინტერნატის წყალსადენი თვითნებურად გამორთული იქნა ახმეტის ჰიდროლიზური საფუარის ქარხნის დირექტორის მიერ (შემაერთებელი მოწყობილობა დამტვრეული იქნა უროთი), აღსაზრდელებს აკლიათ 19 ცალი პალტო, 22 წყვილი ხალათ-შარვალი, 252 წყვილი ფეხსაცმელი და სხვ.

არაა წყლით უზრუნველყოფილი მარნეულის სკოლა-ინტერნატი, რის გამო სველი წერტილების ნორმალური მუშაობა შეფერხებულია; არაა წესრიგში თბოქსელი და დღემდე საძინებელი კორპუსი არ თბება. ამ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს არ აქვთ მოსწავლის ფორმის ტანსაცმელი.

ბროწეულას სკოლა-ინტერნატში დღემდე არაა მოწესრიგებული ცენტრალური გათბობის საქმე. ანალოგიური მდგომარეობაა ჭიათურის, გეგეჭკორის, კარდანახის საბავშვო სახლებსა და ქ. თბილისის № 2 გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა სპეციალურ სკოლა-ინტერნატში.

დასახელებული სკოლა-ინტერნატების დიდ უმრავლესობაში უმოქმედობას იჩენენ მზრუნველთა საბჭოები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე შეისწავლონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობა, გაატარონ ოპერატიული ზომები შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და მათ

მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ გვაცნობონ ა/წ 30 დეკემბრამდე.

2. განათლების სამინისტროს სარევიზიო ჯგუფმა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასა და პარტიულ და სახელმწიფო კონტროლის ჯგუფთან ერთად შეამოწმოს ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატისა და ქ. თბილისის № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატის მიერ ჩატარებულ რემონტზე გაწეული ხარჯების სისწორე და მოხსენება შემოწმების შედეგების შესახებ წარმომიდგინონ 1964 წლის 1 თებერვლამდე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 9 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 16 დეკემბრის ბრძანება № 1142

### ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების, საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების, მეთოდური მუშაობის, მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა და სხვა დარგში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნეს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი და დაისახოს სათანადო ღონისძიებანი მასში ასახულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. კ. მიქაია და მ. ნარმანია):

ა) 1964 წლის 1 თებერვლამდე შეისწავლონ საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა, დააზუსტონ სასკოლო ასაკის ბავშვთა კონტინგენტი, შემოწმების შედეგები განიხილონ განათლების საბჭოების სხდომებზე; მიიღონ კატეგორიული ზომები სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისა და მოზარდის სკოლაში ჩასაბმელად;

ბ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლებზე; განსაკუთრებულ კონტროლქვეშ დააყენონ სუსტად მომუშავე ის

მასწავლებლები, რომლებიც მოხსენებით ბარათში არიან დასახელებული;

გ) გატარებულ ღონისძიებათა შესახებ განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ანგარიში 1964 წლის 1 მარტისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### მოხსენებითი ბარათი

### ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1963 წლის 16-დან 24 ნოემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის დ. ა. ჯავახიას, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორის ა. ნ. წიკლაურის, განათლების სამინისტროს ინსპექტორების ი. ა. წოწონავასა და თ. მელქაძის, ინსპექტორ-მეთოდისტების გ. თ. ერაძისა და შ. ნ. ჟღენტის მიერ შემოწმებულ იქნა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული. მთელ რიგ სკოლებში კარგად ისწავლება სასწავლო საგნები. მოსწავლეთა შორის ფართოდაა გაშლილი აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა, რომელიც ასახვას პოულობს სკოლის, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა სამუშაო გეგმებში; სკოლებისა და ცალკეული კლასების მიხედვით სისტემატურად ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის საუბრები, მოხსენებები, ლექციები, გამოჩენილ პირებთან შეხვედრები, მეგობრობის დილა-საღამოები და სხვ. უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში როგორც ქალაქად, ისე რაიონში.

1963—1964 სასწავლო წლისათვის ქ. ზუგდიდში შეფორგანიზაციების მიერ სკოლებს გადაეცა 29 საკლასო ოთახი 806 კვ მ ფართობით, რომელთა საბალანსო ღირებულება 33508 მანეთს შე-

ადგენს. ამავე შეფორგანიზაციების მიერ ამჟამად წარმოებს IV და V საშუალო სკოლებისათვის 24 საკლასო ოთახისა და 2 სპორტ-დარბაზის მიშენება. აგრეთვე შენდება და ახალი სასწავლო წლიდან ექსპლოატაციაში შევა VI საშუალო სკოლის ახალი შენობა 440 მოსწავლე ადგილით.

ზუგდიდის რაიონში 1963—1964 სასწავლო წლისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებითა და სახელმწიფო სახსრებით სკოლებს მიუშენდა 132 საკლასო ოთახი 2500 მოსწავლე ადგილით.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონში სასკოლო ქსელი აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ყველა სკოლა დაკომპლექტებულია მასწავლებელთა კადრებით.

საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილ სკოლებში კარგადაა შერჩეული საწარმოო სწავლების პროფილები. სკოლების უმრავლესობას საწარმოო სწავლებისათვის აქვს სათანადო ბაზები და დამაკმაყოფილებელია სწავლების დონე.

ქალაქისა და რაიონის მასწავლებელთა ერთი ნაწილი მონდომებით მუშაობს, გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, იყენებენ სწავლებაში აქტიურ მეთოდ-ხერხებს.

ქართულ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ც. ქირია (ქ. ზუგდიდის II საშუალო სკოლა), ა. წულეისკირი და ტ. ბოკუჩავა (ქ. ზუგდიდის III საშუალო სკოლა), თ. შამუგია (ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებს მომზადებულად ატარებენ. მასწავლებლები ა. წულეისკირი და ტ. ბოკუჩავა ქართული ენის გრამატიკის საკითხების სწავლებას ლიტერატურის მასალასა და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას უკავშირებენ. მოსწავლეებმა ქართული ენის გრამატიკის წეს-კანონები შეგნებულად და გააზრებულად იციან, მათი წერისა და მეტყველების კულტურის დონე დამაკმაყოფილებელია. იმ კლასის მოსწავლეებმა, რომლებსაც ქართულ ლიტერატურას ასწავლის მასწავლებელი ც. ქირია, კარგად იციან მხატვრული ნაწარმოებების ტექსტები, მათი ლექსიკური მხარე და იდეურ-მხატვრული ანალიზი.

ქ. ზუგდიდის III საშუალო სკოლაში მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნება-დაოსტატების მიზნით შექმნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანება, რომელიც დამაკმაყოფილებლად მუშაობს. მეთოდური გაერთიანება აწყობს გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთ დასწრებასა

და გამოცდილებათა განზოგადებას, მოხსენებებს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, ღია გაკვეთილებსა და სხვ.

ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ზუგდიდის III საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეთა აკადემიური წრე. მოსწავლეთა ლიტერატურული წრე აწყობს ლიტერატურულ დილა-საღამოებს, ახალ გამოსულ მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვას, ფოლკლორული მასალების შეგროვებას, მოსწავლეთა მიერ დაწერილი მოთხრობების, ნარკვევებისა და რეფერატების განხილვას და ა. შ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები ლ. გულუა და ლ. გუბელაძე (ქ. ზუგდიდის II საშუალო სკოლა), ვ. ლომაია (ქ. ზუგდიდის VI საშუალო სკოლა). დასახელებული მასწავლებლები მაღალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს და სათანადო წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საქმეში.

მასწავლებელმა ლ. გოლუამ VIII კლასში კარგად ჩაატარა ალგებრის გაკვეთილი, გაკვეთილის პროცესში კლასის ყველა მოსწავლე იყო ჩაბმული. მან მოსწავლეებისათვის გასაგებად ახსნა ახალი მასალა „დაყვანილი სახის კვადრატული განტოლების უცნობის გამოსაანგარიშებელი ფორმულა“. მოსწავლეები კარგ მომზადებას ამჟღავნებდნენ საგანში.

მსგავსი მდგომარეობაა ამავე სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ლ. გუბელაძე), მოსწავლეებმა კარგად იციან პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლებისა და განტოლებათა სისტემის გამოკვლევა და ამ გამოკვლევათა გრაფიკული ილუსტრაცია.

დამაკმაყოფილებელია ქ. ზუგდიდის მეექვსე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე არითმეტიკაში (მასწავლებელი ვ. ლომაია). მოსწავლეები თავისუფლად ხსნიან მაგალითებსა და ამოცანებს პროცენტებსა და პროპორციებზე.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის რიგ სკოლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. გერგედავა). ამ სკოლაში (მასწავლებელი დ. მაქაცარია) კარგადაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტი და ყოველგვარი პირობაა შექმნილი ფიზიკის თეორიისა და პრაქტიკის თვალსაჩინოდ სწავლებისათვის. კაბინეტი უზრუნველყოფილია ახალი ტიპის ყველა საჭირო ინვენტარით (სადემონსტრაციო და ლაბორატორიული მაგიდები; გასაშლელი კარადები, მოძრავი დაფა და სხვ.), მუდმივი და ცვლადი დენი მიყ-

ვანილია ყველა სამუშაო მაგიდასთან, მოწყობილია დაბნელება, დაყენებულია სტაციონალური კინოდანადგარი და სხვა.

მასწავლებელი დ. მაქაცარია კარგად არის დაუფლებული ფიზიკის თეორიასა და მისი სწავლების მეთოდებს. ის სისტემატურად ემზადება გაკვეთილისათვის. X კლასში მან კარგად გააშუქა ელექტრონული თეორიის თვალსაზრისით დენის არსებობის პირობები ელექტროლიტებში და ამ მოვლენის ნათელსაყოფად საკმაოდ მომზადებული ექსპერიმენტიც წაუმძღვარა. მოსწავლეები ცდით დარწმუნდნენ, რომ სუფთა წყალი წარმოადგენს იზოლატორს, ელექტროლიტი კი—გამტარს. ასევე მომზადებულად ჩაატარა მან გაკვეთილი VIII კლასში. მასწავლებელმა ცხოვრებიდან მოტანილი მაგალითებით ნათელყო ელექტროენერგიის გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე სახალხო მეურნეობაში.

მასწავლებელი დ. მაქაცარია დიდ ყურადღებას უთმობს ვარჯიშს ფიზიკის ამოცანების ამოხსნაზე და ამაზე ხშირად ატარებს საკონტროლო და საკლასო სამუშაოს, ასწორებს მათ და აფასებს სათანადო ნიშნით.

უცხო ენის მასწავლებლები ც. ესებუა და ნ. კვარაცხელია (ქ. ზუგდიდის II და III საშუალო სკოლები) კარგად ფლობენ ინგლისურ ენას და გაკვეთილებს მაღალ დონეზე ატარებენ. მოსწავლეებს ესმით უცხო ენაზე მასწავლებლის ახსნა-განმარტება და დასმულ კითხვებზე მოფიქრებულ, დამაჯერებელ პასუხებსაც იძლევიან.

რიგ სკოლებში პედაგოგიური საბჭოების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია აქტუალური საკითხები, რომლებიც ხელს უწყობენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. ზუგდიდის II და III, ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლები. ამ სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე საორგანიზაციო საკითხებთან ერთად განხილულია ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები და სხვ.

ქ. ზუგდიდის II, III და ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სერიოზულ მუშაობას ეწევიან საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შესრულებისათვის. ამ სკოლებიდან ადგილი არა აქვს მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს. კარგადაა მოწესრიგებული მოსწავლეთა მოძრაობის საქმე და სხვ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებს სათანადო დახმარებას უწევენ განათლების განყოფილებები, ისინი სისტემა-

ტიურად ამოწმებენ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს, შემოწმების შედეგები გააქვთ ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისა და განათლების საბჭოს სხდომებზე განსახილველად და სახავენ სათანადო ღონისძიებებს შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მიღწევებისა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას ნ. ქურდიანი (ჯვარის საშუალო სკოლა), თ. ხვინგია (ახალსოფლის საშუალო სკოლა), ა. სიჭინავა (ქ. ზუგდიდის VI საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები სუსტად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს. გაკვეთილის ახსნისას უშვებენ შეცდომებს. ამის შედეგად მოსწავლეთა ცოდნის დონე ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაბალია. მასწავლებელმა ნ. ქურდიანმა, როდესაც V კლასში მოსწავლეებს გამოჰკითხა „ფუძეკვეცადი არსებითი სახელები", მოსწავლეებს აუხსნა, რომ არსებითი სახელი „მიწა" წოდებით ბრუნვაში „მიწ-ო" იქნებაო.

დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე ჯვარის, ურთის, ზუგდიდის VI და სხვა საშუალო სკოლებში. დასახელებული სკოლების მოსწავლეთა მეტყველების კულტურის დონე იმდენად დაბალია, რომ ისინი თითქმის ვერ ახერხებდნენ წინადადებების სწორად შედგენას მასწავლებლის დაუხმარებლად. ყველა შესწავლილ სკოლაში არადამაკმაყოფილებელია წერის კულტურის დონე. წერის ნორმებს არ ასრულებენ ზუგდიდის რაიონის ურთის რვაწლიანი და ჯვარის საშუალო სკოლებში (მასწავლებლები ნ. ქურდიანი, მ. ქირია და ნ. ქირია); არ იცავენ წერითი მუშაობის სახეთა მრავალფეროვნებას და მოსწავლეებს უმეტესად ერთი და იგივე ხასიათის თემებზე ამუშავებენ, უყურადღებოდ ასწორებენ წერით ნამუშევრებს. არასაკმაო რაოდენობით ატარებენ ვარჯიშს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე ქ. ზუგდიდის VI (მასწავლებელი ნ. ქირია), II (მასწავლებელი თ. თირქია), ზუგდიდის რაიონის ჯვარის, ურთის, ახალსოფლის საშუალო სკოლებში. ქ. ზუგდიდის II საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლის ა. ჯ-ას ნაწერში მასწავლებელს თ. თირქიას შეუმჩნევია 2 შეცდომა და ნამუშევარი შეუფასებია ნიშან „5"-ზე, მაშინ როდესაც შეუნიშნავი დარჩენია 6 შეცდომა. VI საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი რ. ქირია) ფრიადოსანი მოსწავლის თ. ხ-იას ნაწერი

მასწავლებელს შეუფასებია ნიშან „5“-ზე და ვერცერთი შეცდომა ვერ შეუნიშნავს, გაუსწორებლად კი 9-ზე მეტი შეცდომა დატოვებია.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები ს. მატუა, რ. ჯალაღანია და ლ. ჭანტურია (ჯვარის საშუალო სკოლა) სუსტად მუშაობენ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად. დასახელებულ მასწავლებელთა მოსწავლეები უსუფთაოდ წერენ, არ იყენებენ „ქართული წერის დედანს“. მასწავლებლები არ აწარმოებენ ასოების გამოწერას, არ ავარჯიშებენ დაშვებულ შეცდომებზე, არ ასრულებენ წერის ნორმებს და სხვ.

მათემატიკაში დაბალი მომზადება გამოავლინეს ზუგდიდის რაიონის დიდინეძის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ქირია), მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან რიცხვიდან არითმეტიკულ და ალგებრულ ფესვებს. ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო სწორი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს $y=\sqrt{x}$ გამოსახულების გრაფიკი. მასწავლებელი არაგულისხმიერად ასწორებს საკონტროლო წერის რვეულებს. მაგალითად, X კლასის მოსწავლეს ჟ. ლ-ას ამოცანა გეომეტრიაში არასწორად ჰქონდა ამოხსნილი, მასწავლებელს იგი არ გაუსწორებია და ნამუშევარი ნიშან „4“-ზე შეუფასებია. მოსწავლეების მიერ ნახაზების აგებიდან ჩანს, რომ მათ არა აქვთ წარმოდგენა სივრცით სხეულებზე.

ახალსოფლის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. ჯოჯუა) არ იციან შემოკლებითი გამრავლების ფორმულები და განტოლებების ძირითადი თვისებები. ამავე სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ნ. კვარაცხელია) არ იციან ცნება პროცენტების შესახებ. კითხვაზე, თუ რამდენი პროცენტია ფრიადოსანი, როცა კლასში 20 მოსწავლიდან 5 ფრიადოსანია, ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გასცა სწორი პასუხი. ასევე სუსტად იციან მოქმედებები ათწილადებზე, მათ ზეპირად ვერ გამოიანგარიშეს, თუ რას უდრის $8\times 1{,}5$-ზე.

ქ. ზუგდიდის II საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტი საკლასო ოთახადაა გამოყენებული. კაბინეტი გადატვირთულია დიდი რაოდენობის არასაჭირო ხელსაწყო-იარაღით და მათი მოვლა და სწავლებაში გამოყენება, ოთახში არსებული სივიწროვის გამო, სათანადოდ ვერ ხერხდება.

დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება ზუგდიდის რაიონის ურთის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი შ. ჯიქია). ამ სკოლაში ფიზიკის სწავლებისათვის შედარებით კარგი პირობებია შექმნილი:

კაბინეტისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის ოთახი, შეძენილია სათანადო ინვენტარი, მაგრამ გაკვეთილები ტარდება თვალსაჩინოებისა და ცდების გარეშე. მაგალითად, VIII კლასში მასწავლებელმა თვალსაჩინოების გარეშე ახსნა გაკვეთილი—„გამოსახულების მიღება ორმხრივ ამოზნექილ ლინზაში, მაშინ როდესაც ლინზები მაგიდაზე ეწყო. მანვე გაკვეთილზე აუხსნელი დატოვა ისეთი რთული საკითხი თემიდან, როგორიცაა „საგნის გამოსახულებების მიღება ლინზაში". ყოველივე ამის შედეგად მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილი მოსწავლეებისათვის გაუგებარი დარჩა.

ამ სკოლის ადმინისტრაციას 1962 წელს ფიზიკის კაბინეტისათვის შეუძენია 2000 მანეთის ერთი და იგივე რამდენიმე ხელსაწყო-იარაღი, მაგრამ მათ შორის მხოლოდ მცირე ნაწილია რვაწლიანი სკოლისათვის გამოსაყენებელი. ეს ხელსაწყოები მოუვლელია და ჩაყრილია კარადებში. სკოლის ხელმძღვანელები და ფიზიკის მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის № 563 და № 617 ბრძანებებს „რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისა და სასწავლო კაბინეტების ინვენტარის აღრიცხვის, მოვლისა და გამოყენების შესახებ".

უცხო ენაში მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია ქ. ზუგდიდის III (მასწავლებელი ბ. ნაჭყებია), VI (მასწავლებელი ტ. ბულია), ზუგდიდის რაიონის ჯვარის (მასწავლებელი ა. ფიფია), ცაიშის (მასწავლებელი ზ. კოკაია) საშუალო სკოლებში. დასახელებული მასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარებაზე, მოსწავლეებს არ ესმით მასწავლებლის საუბარი უცხო ენაზე, რის გამო ისინი გაკვეთილებს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებენ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში პედაგოგიური კოლექტივები კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ სკოლებში ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევისა და ზოგან დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევებს. მაგალითად, 1963 წლის იანვრიდან ივნისამდე სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის ქ. ზუგდიდში ბავშვთა ოთახის მიერ რეგისტრირებულია 8 მოსწავლე. IV საშუალო სკოლის მოსწავლეები შენიშნულნი იყვნენ წვრილმან ქურდობასა და ხელზე ვაჭრობაში.

სკოლებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისა და პედაგოგიური კოლექტი-

ვების კოორდინირებული მუშაობა. ბევრი პედაგოგი ვერ ერკვევა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკასა და მეთოდებში, რის შედეგად პედაგოგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები მათ უცვლელად გადააქვთ მოსწავლეთა ორგანიზაციებში. ზოგჯერ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის შემადგენლობაში 2—3 და მეტი პედაგოგია შეყვანილი, კომიტეტის მდივნებად და კედლის გაზეთების რედაქტორებად მასწავლებლებია არჩეული, რაც ზღუდავს მოსწავლეთა ინიციატივასა და თვითშემოქმედებას.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში მოპოვებულ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს ერთგვარ ნაკლოვანებებს.

ადგილზე არსებული მასალების მიხედვით ქ. ზუგდიდის სკოლებში 1963—1964 სასწავლო წელს უნდა სწავლობდეს 6804 მოსწავლე, ფაქტიურად სწავლობს 6795 მოსწავლე. ზუგდიდის რაიონის სკოლებში ნაცვლად 21835 მოსწავლისა სწავლობს 21631 მოსწავლე ე. ი. 204 მოსწავლით ნაკლები.

ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევებს: მაგალითად, ურთის რვაწლიანი, ჯვარისა და ცაიშის საშუალო სკოლებიდან განთესილია თითო-თითო მოსწავლე, ხოლო დიდინეძის საშუალო სკოლიდან 2 მოსწავლე.

არადამაკმაყოფილებელია პედსაბჭოს მუშაობა ზუგდიდის რაიონის ურთის რვაწლიანი (დირექტორი ა. აკობია), დიდინეძის (დირექტორი გ. შელია), ჯვარის (დირექტორი ლ. ჭანტურია) საშუალო სკოლებში. არის შემთხვევები, როდესაც პედსაბჭოს ერთ სხდომაზე 5—7 საკითხია განხილული, დადგენილებები ზოგადია და ოქმები უწიგნურადაა გაფორმებული.

ზოგიერთ სკოლაში კლასის ხელმძღვანელთა გეგმები მოსწავლეთა ასაკისა და მომზადების დონის გაუთვალისწინებლადაა შედგენილი. მაგალითად, ახალსოფლის საშუალო სკოლის 1-ლი კლასის გეგმაში შეტანილია საკითხები: „კომუნიზმი ჩვენი ნათელი მომავალია", „როგორ იცხოვრებენ ადამიანები კომუნიზმის დროს", „XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა" და ა. შ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ურთისა და ჯვარის საშუალო სკოლებში.

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში სუსტადაა დაყენებული შიგასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო მეთოდურ მუშაობაზე. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწი-

ლის გამგეები მცირე დროს უთმობენ მასწავლებლებთან მუშაობას, არ აწყობენ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარებას. სკოლის ხელმძღვანელთა მიერ შემოწმებული გაკვეთილების ჩანაწერები და ანალიზები ზერელე და უწიგნურია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის ხელმძღვანელები და მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს. მაგალითად, ურთის რვაწლიანი, ჯვარისა და ახალსოფლის საშუალო სკოლებში არ იცნობდნენ მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, რის გამო წერის ნორმები ამ სკოლებში არ სრულდება. აგრეთვე სკოლები ნაკლებად იცნობენ და იყენებენ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულებში რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონისა ან ქალაქის სკოლების მუშაობის შესწავლის შედეგად მიცემულ მითითებებს მათ მუშაობაში ანალოგიური ხასიათის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სკოლის შიგასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების სწორად შერჩევას. ზოგიერთ სკოლაში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ერთი და იგივე სპეციალობისანი არიან. მაგალითად, ქ. ზუგდიდის III საშუალო სკოლაში დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ფილოლოგები არიან, ჯვარის საშუალო სკოლაში ისტორიკოსები.

ზოგიერთ შესწავლილ სკოლაში (ჯვარის, ახალსოფლის, ურთის, ქ. ზუგდიდის VI) გაკვეთილების ცხრილი არ არის შედგენილი პედაგოგიურ მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილი აქვს საგნების ანდა ზოგჯერ ერთი და იგივე საგნის ზედიზედ, შუალედების გარეშე შეტანის შემთხვევებს. აგრეთვე საკლასო ჟურნალების წარმოებაც არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, არის შემთხვევები, როდესაც კლასში ახსნილი მასალა ჟურნალში არაა ჩაწერილი, მასწავლებლებს არ შეაქვთ საკონტროლო წერის ნიშნები, არ სწარმოებს გაცდენილი გაკვეთილების სწორი აღრიცხვა და შეჯამება; მოსწავლეთა მიერ გაცდენილ გაკვეთილებს საპატიოდ სთვლიან, მაშინ, როდესაც საამისო საბუთები არ მოეპოვებათ.

სკოლების სამმართველოს
უფროსი დ. ჯავახია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 18 დეკემბრის ბრძანება № 1150

### ქ. ტყიბულში, ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა მასალებს ქ. ტყიბულში, ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონებში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზის გაძლიერების შესახებ, აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული. მაგალითად, ქ. ტყიბულში სასწავლო წლის დასაწყისში ტყიბულქვანახშირის ტრესტმა მე-6 საშუალო სკოლისათვის ააგო 880-ადგილიანი 4-სართულიანი სკოლის შენობა სათანადოდ მოწყობილი ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტებითა და სასწავლო სახელოსნოებით. ტრესტის დირექციამ სკოლებს გადასცა 10 საკლასო ოთახი. ქალაქის საწარმოებში მოწყობილია 6 სასწავლო საამქრო. ქალაქის ხუთ სკოლას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი.

ქ. ტყიბულის განათლების განყოფილებას (გამგე გ. ნასარეია) 1962—63 სასწავლო წელს საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შესრულების მიმდინარეობის საკითხი ქალაქის აღმასკომის მეშვეობით 3-ჯერ აქვს განხილული და დასახულია ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ქ. ტყიბულში მთლიანად შესრულებულია მოსწავლეთა კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმის გეგმა. წყალტუბოს რაიონის სკოლების I—VIII კლასებში გეგმით გათვალისწინებული 11982 მოსწავლის ნაცვლად სწავლობს 12155 მოსწავლე, ე. ი. 173 მოსწავლით მეტი. რაიონის სკოლებს მიმდინარე სასწავლო წელს შეემატა 37 საკლასო ოთახი, რითაც შესაძლებელი გახდა 82 სკოლიდან 73 სკოლის ერთ ცვლაზე გადაყვანა.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნიათ ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონებს.

ცუდი მდგომარეობაა ზესტაფონის რაიონში (გამგე გ. კიკნაძე). ამ რაიონში არ შესრულებულა მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმა,—შესრულებას აკლია 491 ბავშვი. ასევე ცუდი მდგომარეობაა ახალქალაქის რაიონში (გამგე ქ. კარახანიანი). ამ რაიონში გეგმით 1963—64 სასწავლო წელს სკოლებში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 23721 ბავშვი, ფაქტიურად ჩაბმულია 23035 ბავშვი, გეგმის შესრულებას აკლია 686 ბავშვი. სკოლას ჩამოშორდა ახალქალაქის რაიონში—170, ზესტაფონის რაიონში—61 წყალტუბოს რაიონში—15, ხოლო ქ. ტყიბულში—7 მოსწავლე.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა.

გასული სასწავლო წლის ბოლოს იმავე კლასებში დატოვებულ იქნა—ახალქალაქის რაიონში 1722 მოსწავლე, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8,4%-ს შეადგენს, ზესტაფონის რაიონში—1881, ანუ მოსწავლეთა საერთო რიცხვის 16%, ქ. ტყიბულში 192 (4,8%-ი).

წყალტუბოს რაიონის ზოგიერთ სკოლასა და კლასში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი დაყენების შედეგად დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, ასე მაგალითად, საწირის, ორპირის, ჯვარისის საშუალო, ძიროვნის, პატრიკეთის 8-წლიან სკოლებში მოსწავლეთა აბსოლუტური მოსწრება არ აღემატება 71%—80%. მეორეწლიან მოსწავლეთაგან არ სწავლობს ახალქალაქის რაიონში 386, ქ. ტყიბულში—35 ბავშვი. ახალქალაქის რაიონში სპეციალურ სკოლებში არ სწავლობს 52-ზე მეტი ყრუ-მუნჯი, უსინათლო და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი; სასკოლო ინტერნატები მოთავსებულია დაქირავებულ და შეუფერებელ ბინებში, სადაც მოსწავლეებს არ აქვთ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები. ამავე რაიონის 12 დაწყებით სკოლის 381 ბავშვს დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ არ აქვთ საშუალება სწავლის გაგრძელებისა იმის გამო, რომ ახლომახლო არ არის გახსნილი 8-წლიანი ან საშუალო სკოლები, ხოლო სასკოლო ინტერნატები არაა მოწყობილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ქ. ტყიბულის, ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს

რაიონების განათლების განყოფილებებმა (გამგეები გ. ნასარეია, ქ. კარახანიანი, კ. კიკნაძე, რ. ლაჭავა):

ა) ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ქმედითი ზომები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის;

ბ) მეორე მეოთხედის დამთავრებამდე უზრუნველყონ სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში.

2. ახალქალაქის განათლების განყოფილებამ გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

3. სკოლების დირექტორებმა გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლების მიზნით; მოსთხოვონ მასწავლებლებს გაკვეთილების მაღალხარისხოვნად ჩატარება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით.

4. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად (ა. კვაჭაძე) 1964 წლის 1-ლ კვარტალში შეისწავლოს საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა ზესტაფონის რაიონში და შედეგები მომახსენოს 1964 წლის 15 მარტამდე.

5. ქ. ტყიბულის, ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებებმა 1964 წლის 1 მარტისათვის წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ანგარიში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 29 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
30 სექტემბერი 1963 წელი
№ 5/2476

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არსებული მასალებით და ადგილებზე ჩატარებული შემოწმებებით გამოირკვა, რომ რიგ განათლების ადგილობრივ ორგანოებში, სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში მასწავლებლების და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის, განთავისუფლების და აგრეთვე სასწავლო დატვირთვის განაწილების საქმეში ადგილი აქვს შრომის კანონმდებლობის და დადგენილი წესების დარღვევის ფაქტებს.

ზოგან სკოლის მუშაკებს ათავისუფლებენ სამუშაოდან ან გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე დაუსაბუთებლად, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა და წესების დაცვის გარეშე.

ზოგიერთი ადგილობრივი განათლების ორგანოსა და სკოლის ხელმძღვანელი არ ზრუნავს სკოლაში მომუშავე მასწავლებლების ნორმალური სასწავლო დატვირთვისათვის, უმცირებს ცალკეულ მასწავლებლებს ამ დატვირთვას და ამის ხარჯზე, არავაკანტურ ადგილზე დამატებით გზავნის მასწავლებელს, სკოლაში მომუშავე ყველა მასწავლებლის დატვირთვის გათანაბრების მიზნით, წლის დასაწყისში და სასწავლო წლის განმავლობაშიც ახდენს მასწავლებლების დატვირთვის გადანაწილებას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადანაწილება ხშირად არ გამომდინარეობს სკოლის ინტერესებიდან. არაიშვიათია შემთხვევა, როდესაც სკოლაში მომუშავე ამა თუ იმ სპეციალობის ძირითად მასწავლებელს არ გააჩნია ნორმალური დატვირთვა, მაგრამ ამის მიუხედავად სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ასეთ მასწავლებლებს ართმევენ გაკვეთილებს და თვითონ იტვირთებიან ამ გაკვეთილებით.

გამოირკვა აგრეთვე, რომ მრავალგზის მითითებების მიუხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავად, ბევრგან ადგილებზე ჯერ კიდევ მოუგვარებელია შრომის წიგნაკების შედგენისა და ამ წიგნაკების წარმოების საქმე. სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელები არ ღებულობენ ზომებს იმისათვის, რომ ყველა მუშაკი იყოს უზრუნველყოფილი შრომის წიგნაკით, ის ივსებოდეს დადგენილი წესით, მასში დროულად იქნეს შეტანილი სწორი ცნობები ყოველი მუშაკის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.

ასეთი დამოკიდებულება შრომის წიგნაკების შედგენა-შევსებისადმი აფერხებს მუშაობის სტაჟის ზუსტად განსაზღვრას და კადრების აღრიცხვის საქმის სათანადო დონეზე დაყენებას.

ამის გამო აუცილებელია, პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები ზემოაღნიშნულისა და ანალოგიური ფაქტების აღმოსაფხვრელად. არ დაუშვათ მომავალში მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლება-გადაყვანა სათანადო დასაბუთებისა და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნილებების დაცვის გარეშე, არ მოახდინოთ მასწავლებლების სასწავლო დატვირთვის შემცირება სასწავლო წლის პერიოდში, თუ ეს არ იქნება გამოწვეული კლასების შეკვეცის აუცილებლობით.

საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებების გამგეებმა, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა მოაწესრიგონ შრომის წიგნაკების წარმოების დარგში არსებული მდგომარეობა და უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ყველა მუშაკი შრომის წიგნაკით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ი. **ბეროზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
6 დეკემბერი 1963 წელი
№ 1/2898

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მკვეთრად ამაღლდა სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა სკოლებში სახელმწიფო ქონების დაცვისათვის. ისინი ზრუნავენ სასკოლო ქონების მოვლა-პატრონობისათვის და სისტემატურად ნერგავენ ბავშვებში საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ჩვევებს. ასეთ სკოლებში საკლასო ოთახებისა და დერეფნების კედლებს არ ესაჭიროებათ პერიოდული შელესვა და შეღებვა, ხოლო ავეჯი და სასწავლო მოწყობილობა: მაგიდები, მერხები, დაფები, კარადები —მრავალი წლის განმავლობაში არ საჭიროებენ შეკეთებას. უკანასკნელ ხანებში რიგ სკოლებში კაბინეტ-ლაბორატორიების და სასწავლო სახელოსნოების მოწყობა და შევსება გეგმიანად ხორციელდება, მოწესრიგებულია აგრეთვე კაბინეტების და სასწავლო სახელოსნოების ქონების აღრიცხვისა და მათი მოვლა-პატრონობის საქმე.

ისეთი სკოლების რიცხვს, რომელთა ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები მოსწავლეებში ზრდიან კულტურული ქცევის ჩვევებს, შეგნებულ დისციპლინას და სასკოლო შენობების, ავეჯისა და მოწყობილობისადმი ფრთხილად დამოკიდებულების გრძნობას მიეკუთვნებიან ქ. თბილისის მე-4, 77-ე, 88-ე, ქ. ქუთაისის 1-ლი, მე-3, ქ. ფოთის 1-ლი, მე-2, მე-3, ქ. სოხუმის 1-ლი, მე 5, ზუგდიდის რაიონის ცაიშის, ზუგდიდის 1-ლი და მე-2, კელასურის საშუალო და სხვა სკოლები,

ამასთანავე ადგილზე შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ქონების დაცვის საქმეს.

გარდაბნის რაიონის ყარაჯალარის, ქესალოს, ახალქალაქის

რაიონის ბარალეთის, ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლებში, რომელთა სასკოლო შენობებს წელს გაუკეთდა კაპიტალური ან მიმდინარე რემონტი, კედლები ჩამონგრეული და დასვრილია, სახურავიდან წყალი ჩამოდის, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია, ეზოები გაბინძურებულია.

სათანადოდ არ არის მოვლილი ზესტაფონის რაიონის ღორეშის, ბოლნისის რაიონის რაჭისუბნის, ქვემო ბოლნისის, სოფელ ბოლნისის, ქ. თბილისის 79-ე, 67-ე საშუალო სკოლების შენობები.

ზემოთ დასახელებულ და მთელ რიგ სხვა სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების, სკოლის დგამ-ავეჯის, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოებისა და ბიბლიოთეკების მოვლისა და დაცვის საქმეს. მერხები, მაგიდები და კარადები დაჭრილი, დაზიანებული და დამტვრეულია. ხელსაწყო-იარაღები დაშლილია, დაყრილია და გამოუყენებელია სწავლებაში.

რესპუბლიკის რიგ სკოლებში სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოებისა და მოწყობილობის და იარაღების აღრიცხვისა და მასალების ხარჯვის საქმე მოუწესრიგებელია, სკოლის ბუხჰალტერია აღრიცხვის საქმეში არ იცავს სიზუსტეს, საბუხჰალტრო დოკუმენტებში ხშირად ნაჩვენებია სკოლის ქონების საერთო ღირებულება და მასთან არ არის დართული ქონების სახელობითი სია. ზოგ სკოლას საინვენტარო ჟურნალი და სათანადო ინსტრუქციებიც კი არ აქვს, რის გამოც რიგ სკოლებში აღრიცხვის გარეშეა დატოვებული ცენტრალიზებული წესით მიღებული ხელსაწყოები და მასალები.

მრავალი სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში არ არის შეტანილი საკითხები სახელმწიფოებრივი ქონების დაცვის შესახებ. ეს საკითხი იშვიათად იხილება აგრეთვე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზეც.

სასკოლო შენობებისა და მოწყობილობების უკეთესად დაცვისა და მათი რემონტებისათვის ასიგნებული თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, წინადადება გეძლევათ მკაცრად გააფრთხილოთ სკოლის დირექტორები (გამგეები), რომ სახელმწიფო ქონების დაცვის საქმეში მათ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა, რისთვისაც მათ უნდა დაავალოთ;

ა) დარაზმონ სკოლის მთელი პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივები სკოლის შენობების, დგამ-ავეჯის, სასწავლო კაბინეტების, სახელოსნოებისა და ბიბლიოთეკების სანიმუშოდ მოვლისათვის;

ბ) მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის გატარებისას სერიოზული ყურადღება მიაქციონ მათში სასკოლო ქონებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების ჩვევების აღზრდას, ოთახების და სკოლის სხვა სათავსოების კულტურულად გაფორმებისა და დაცვისათვის მუდმივ ზრუნვას;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სკოლის ქონების მოვლა-დაცვაზე, ქონების დაუდევრად შენახვისა და ხელსაწყო-იარაღების დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ კაბინეტების, სახელოსნოების და ლაბორატორიების გამგეებს;

დ) ყოველწლიურად, დაწესებულ ვადებში, ზუსტად აღრიცხონ სკოლის ქონება და სათანადოდ გააფორმონ იგი სკოლის საინვენტარო ჟურნალში;

ე) პერიოდულად განიხილონ სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სოციალისტური ქონების დაცვის საკითხი და დასახონ ქმედითი ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ვ) სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ სახელმწიფოებრივი ქონების დაცვის საკითხები;

ზ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კლასებს შორის საკლასო ოთახების საუკეთესოდ გაფორმების, მოვლისა და შენახვისათვის, წაახალისონ საუკეთესონი მათთვის გარდამავალი წითელი ვიმპელის, ქების სიგელების მინიჭებით, სპეციალური ბრძანების სკოლაში გამოქვეყნებითა და სხვა გზით;

თ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ინიციატივას სასკოლო შენობების საუკეთესოდ გაფორმებისა და დაცვისათვის ბრძოლის საქმეში.

2. განათლების განყოფილებებს ევალება:

ა) მკაცრი კონტროლი დააწესონ სკოლის რემონტისათვის, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაძენი და სხვა დანიშნულებით გამოყოფილი სახელმწიფო თანხებისა და სპეციალური სახსრების ხარჯვაზე;

ბ) კონტროლი დააწესონ აგრეთვე სკოლების ინვენტარის, სასწავლო მოწყობილობათა აღრიცხვასა და მოვლა-პატრონობაზე; სისტემატურად შეამოწმონ რამდენად გეგმიანად წარმოებს სკოლებზე დაშვებული ცენტრალიზებული თანხების ათვისება და როგორ ხდება შეძენილი ქონების აღრიცხვა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1963 წლის 22 ნოემბერი

შეთანხმებულია
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი ნ. ვ. გურგენიძე

პიონერ-მოსწავლეთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზების

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ლაშქრობების და ექსკურსიების მონაწილე პიონერ-მოსწავლეთა მიღება-მომსახურებისათვის საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან, პიონერთა სახლთან, განათლების განყოფილებასთან და პიონერთა სასახლესთან იქმნება ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა.

2. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში პიონერ-მოსწავლეთა მიღება სწარმოებს ორგანიზებულად—მათ ათავსებენ კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელში და უწევენ მაღალკვალიფიციურ საექსკურსიო მომსახურებას: ბავშვებს აცნობენ შესაბამისი ქალაქისა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობებს—პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, ატარებენ მუზეუმებში, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ელექტრო-სადგურებში, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

ნორჩ ექსკურსანტთა და ტურისტთა კულტურული მომსახურების და მათში ინტერნაციონალური სულისკვეთების განმტკიცების მიზნით, გარდა ექსკურსიებისა, ბაზაში ეწყობა: შეხვედრები ადგილობრივ პიონერ-მოსწავლეებთან, მეგობრობისა და მხატვრული თვითმოქმედების საღამოები, ლექცია-მოხსენებები, მასობრივი ხასიათის ღონისძიებები, აგრეთვე ეწყობა შეხვედრები რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებთან.

3. ბაზაში ჯგუფების მიღება სწარმოებს საგზურებით. საგზურები გაიცემა სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურების, საბავშვო სახლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების,

განათლების განყოფილებების, კომკავშირის, პროფკავშირის და პიონერული ორგანიზაციების განაცხადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბავშვთა ტურისტული ბაზა თავის მუშაობას წარმართავს საექსკურსიო-ტურისტული სადგურის, შესაბამისი განათლების განყოფილებებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით.

5. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზის დირექტორი ინიშნება განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, განათლების განყოფილებებისა და კომკავშირის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მიერ.

6. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზის დირექტორი პასუხს აგებს ბაზის პედაგოგიურ, საორგანიზაციო, ფინანსურ და სამეურნეო მუშაობაზე. სათანადო ორგანიზაციებში დასამტკიცებლად წარადგენს ექსკურსიის ხელმძღვანელ მუშაკთა და ტექნიკური პერსონალის შტატს.

7. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზის ორგანიზაცია და მოწყობა სწარმოებს ბაზის მიერ გაწეული მომსახურებისა და შენობის არენდის ანაზღაურებლად, შემოსული სპეცახსრების საბიუჯეტო ასიგნობების ანგარიშზე.

8. ბავშვთა მუდმივი საექსკურსიო-ტურისტული ბაზა მუშაობს საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან, სპეციალურად მისთვის განკუთვნილ შენობაში.

9. სეზონური (სასკოლო არდადეგების პერიოდში მომუშავე) საექსკურსიო-ტურისტული ბაზა ეწყობა სპეციალურ, სკოლის ან სხვა შენობაში, ადგილობრივი ალმასკომებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და განათლების განყოფილებების ნებართვით.

10. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზების ბუხჰალტერია ანგარიშს აწარმოებს კანონით გათვალისწინებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

11. საგზურის ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზის ფაქტიური ხარჯებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ვ. ლაშქარაშვილი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მ დ ი ვ ა ნ ი
ნ. ვ. ზურგენიძე

1963 წლის 22 ნოემბერი

# ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დებულება

## I

### ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ამოცანები

1. ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური წარმოადგენს პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ხელმძღვანელ და საინსტრუქციო-მეთოდური მუშაობის ცენტრს. სადგური მიზნად ისახავს ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სკოლებს, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

2. სადგურმა ხელი უნდა შეუწყოს მოზარდი თაობის აღზრდას საბჭოთა ხალხის საელოვან რევოლუციურ და შრომით ტრადიციებზე, შეაყვაროს ჩვენი სამშობლო, გააცნოს მისი ბუნების სიმდიდრენი და დიადი მშენებლობანი. ამასთანავე ნორჩ ტურისტთა სადგური ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ გაკაჟებას და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

3. ნორჩ ტურისტთა სადგურის მუშაობა უნდა წარიმართოს ცხოვრებასთან პიონერ-მოსწავლეთა მტკიცე კავშირის დასამყარებლად. მოზარდი თაობა ჩაბმული უნდა იქნას მათთვის მისაწვდომ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში.

4. ნორჩ ტურისტთა სადგური მუშაობას ატარებს III—X კლასების პიონერ-მოსწავლეებთან, მათი ინიციატივის, თვითშემოქმედების და აქტივობის ფართოდ დანერგვის გზით, მათი ასაკის, ცოდნისა და ინტერესების გათვალისწინებით.

## II

## ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერ-მოსწავლეთა შორის საექსკურსიო-ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის მასობრივად განვითარების მიზნით, სადგური ორგანიზაციას უწევს თვით სადგურთან არსებულ წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეებს და ასევე ეხმარება სკოლებს, საბავშვო სახლებს, სკოლა-ინტერნატებს, ნორჩ ტურისტთა, ნორჩ მხარეთმცოდნეთა, დასწრებული და დაუსწრებელი წრეების, სექციებისა და კლუბების ჩამოყალიბების საქმეში.

ა) ტურისტული ჯგუფი კომპლექტდება მოსწავლეთა სურვილის, მათი ასაკისა და ცოდნის დონის მიხედვით. ყოველი მოსწავლე შეიძლება ჩაბმული იყოს ერთ წრეში. ტურისტულ წრეში შეიძლება გაერთიანდეს არანაკლებ 10, ხოლო მხარეთმცოდნეობით წრეში არანაკლებ 15 მოსწავლისა.

ბ) წრეებში, რომლებიც ამზადებენ პიონერ-ინსტრუქტორებს და ტურისტული მუშაობის ორგანიზატორებს—მოსწავლეთა მიღება წარმოებს პიონერთა რაზმეულის საბჭოს და კომკავშირის კომიტეტის რეკომენდაციით.

გ) წრეებში მეცადინეობა მოსწავლეებში უნდა ნერგავდეს და ზრდიდეს ორგანიზატორულ უნარს და პრაქტიკულ ჩვევებს. წრის ყოველი წევრი თავის კლასში, რაზმეულში და საცხოვრებელ ადგილას უნდა იყოს ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

დ) წრის მეცადინეობა ტარდება კვირაში 1—2 ჯერ, თითოეული მეცადინეობის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 2 ასტრონომიულ საათს; ექსკურსიები და ლაშქრობები ეწყობა კვირა დღეებში.

ე) წრეების მეცადინეობა ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

2. ნორჩ ტურისტთა სადგური პიონერთა სასახლეებთან, სახლებთან, სკოლებთან და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ერთად აწყობს მასობრივ ღონისძიებებს, ექსკურსიებს, ლაშქრობებს, ექსპედიციებს, ესტაფეტებს, შეკრებებს, ტურისტულ შეჯიბრებებს, თამაშობებს და ა. შ. იგი ეხმარება სკოლებს:

ა) საწარმოებში, ელსადგურებში, კოლმეურნეობებში, საბჭო-

თა მეურნეობებში, სასწავლო-საწარმოო ექსკურსიების ორგანიზაციაში;

ბ) ტურისტული ბანაკების შექმნაში და აგრეთვე ტურიზმში, „ნორჩი ტურისტის", „სსრკ ტურისტის" და „სსრკ III ხარისხის ტურისტის" ნიშანზე პიონერ მოსწავლეთა მომზადებაში.

3. ნორჩ ტურისტთა სადგური აწარმოებს ორგანიზაციულ, ინსტრუქციულ და მეთოდურ მუშაობას:

ა) ასწავლის მოსწავლეთა ტურისტულ აქტივს, ამზადებს პიონერ-ინსტრუქტორებს. ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზატორებს;

ბ) დახმარებას უწევს პიონერულ რაზმეულებს და რაზმებს ტურისტული მუშაობის ორგანიზაციაში ნორჩ პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხის მიხედვით;

გ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან, პიონერთა სასახლეებთან და პიონერთა სახლებთან ერთად ატარებს პიონერ-ხელმძღვანელების, მასწავლებლების, ტურისტულ და მხარეთმცოდნეთა წრეების ხელმძღვანელებისა და ტურისტული მუშაობის ორგანიზატორების სემინარებს, თათბირებს, სასწავლო ლაშქრობებს, კონფერენციებს და კონსულტაციებს;

დ) ადგილობრივი პირობების შესაბამისად ამუშავებს საექსკურსიო-ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შინაარსის, ფორმისა და მეთოდების საკითხებს, ადგილობრივი და შორეული ლაშქრობების მარშრუტებს, აძლევს პიონერ-მოსწავლეებს სხვადასხვა დავალებებს საძიებო და კვლევითი მუშაობისათვის, ადგენს დამხმარე სახელმძღვანელოებს ტურიზმში, საექსკურსიო ობიექტების ცნობარებს, ექსკურსიების თემატიკას და სხვა;

ე) სწავლობს რესპუბლიკასა და სსრ კავშირში მოსწავლეთა შორის საექსკურსიო-ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას, განაზოგადებს და ავრცელებს მას;

ვ) გამოსცემს და ავრცელებს საინსტრუქციო—მეთოდურ მასალებს;

ზ) ეწევა ტურიზმის და ექსკურსიების პროპაგანდას მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შორის, რისთვისაც ფართოდ იყენებს ბეჭდვით ორგანოებს, რადიოს, ტელეხედვას, კინოს, აწყობს დროებით და მუდმივ გამოფენებს.

4. ნორჩ ტურისტთა სადგური თავის მუშაობას უკავშირებს პიონერ-მოსწავლეთა სახლებს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, სპორტულ საზოგადოებას, პროფესიულ კავშირების ტუ-

რისტულ საბჭოს, მუზეუმებს, სამეცნიერო დაწესებულებებს და ამასთანავე იზიდავს თავის მუშაობაში ტურიზმისა და ალპინიზმის ოსტატებს, თანრიგოსნებს, მონადირეებს, მშობლებს, სტუდენტებს და მოზარდი თაობის აღზრდით დაინტერესებულ ყველა დაწესებულებას და მოღვაწეს.

## III

### ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის სტრუქტურა

ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან არსებობს შემდეგი განყოფილებები: 1. საორგანიზაციო მასობრივი განყოფილება მუდმივი ლექტორიუმით; 2. მეთოდური მუშაობის განყოფილება მეთოდური კაბინეტით, გამოფენით, ბიბლიოთეკითა და ფოტო-ლაბორატორიით; 3. საექსკურსიო განყოფილება; 4. ტურისტული აღჭურვილობის ბაზა; 5. სეზონური ტურისტული ბანაკი და სეზონური ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზები (მათ რიცხვში: საექსკურსიო, სათხილამურო და გამოსასვლელი დღის ბაზა და სხვ.).

## IV

### ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის ხელმძღვანელობა და პედაგოგიური პერსონალი

1. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური ექვემდებარება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს. სადგური მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობით—საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებული სამუშაო გეგმის საფუძველზე.

2. სადგურს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც აქვს პედაგოგიური განათლება და ბავშვთა შორის საქსკურსიო-ტურისტული მუშაობის გამოცდილება. დირექტორს ამტკიცებს განათლების სამინისტრო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

3. მეთოდისტები, წრეების ხელმძღვანელები ინიშნებიან იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური ან სპეციალური განათლება და ბავშვებთან ტურისტული და მხარეთმცოდნეობითი მუშაობის სათანადო გამოცდილება.

## ტურისტული სადგურის დირექციისა და განყოფილებების მოვალეობანი

1. დირექტორი ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია სადგურის სასწავლო-აღმზრდელობით, მეთოდურ და საფინანსო-სამე-

ურნეო საქმიანობაზე, კადრების შერჩევა-განაწილებაზე. დირექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს მუშაკებს მოქმედი კანონის ფარგლებში და განაგებს სადგურის კრედიტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. **საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილებას ევალება:**

ა) მასობრივი ხასიათის ღონისძიებების ორგანიზაცია. სასწავლო და საწარმოო ხასიათის ექსკურსიების და ლაშქრობების ორგანიზაცია, როგორც სადგურის წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთათვის, ასევე პიონერთა ცალკეული რაზმეულებისა და რაზმებისათვის;

ბ) მუდმივი ლექტორიუმის ხელმძღვანელობა.

3. **ტურისტულ-მეთოდური მუშაობის განყოფილებას ევალება:**

ა) მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა სასკოლო ტურისტული წრეებისა და ტურისტული რაზმების ხელმძღვანელთათვის;

ბ) ტურისტ პიონერ-ინსტრუქტორების მომზადება;

გ) სხვადასხვა ინსტრუქციულ-მეთოდური ხასიათის მასალების დამუშავება და ტურისტული მარშრუტების შედგენა;

დ) გამოსასვლელი დღის ტურისტული ბანაკის მოწყობა;

ე) მეთოდური კაბინეტის და გამოფენის მოწყობა.

4. **საექსკურსიო-მეთოდურ განყოფილებას ევალება:**

ა) რესპუბლიკაში ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზების ხელმძღვანელობა;

ბ) საექსკურსიო ობიექტების ცნობარების შედგენა;

გ) საექსკურსიო-თემატური მარშრუტებისათვის მეთოდური მასალების დამუშავება;

დ) ტურისტული სადგურის მეთოდისტებისა და წრეების ხელმძღვანელებისათვის და საექსკურსიო ბაზების მუშაკებისათვის სასწავლო ექსკურსიების მოწყობა.

5. **ტურისტული სადგურის ბიბლიოთეკას ევალება:**

ა) საბიბლიოთეკო ფონდის შევსება დაწესებულების მუშაობის ხასიათის შესაბამისად;

ბ) პიონერ-მოსწავლეებისა და ტურიზმის ორგანიზატორები-

სათვის ბიბლიოგრაფიის შედგენა ტურისტულ, საექსკურსიო და მხარეთმცოდნეობის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**6. ფოტო-ლაბორატორიის ევალება:**

ა) მოამზადოს პიონერ-მოსწავლეები ფოტო და კინო კორესპონდენტებად ტურისტული და საექსკურსიო მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ასახვისათვის.

**7. ტურისტული საჭურვლის ბაზას ევალება:**

ა) იქონიოს აუცილებელი ინვენტარი და საჭურველი ტურისტული მუშაობისათვის;

ბ) ხელი შეუწყოს საბავშვო დაწესებულებებს ტურისტული ინვენტარის შეძენაში.

## V

**8. ტურისტული სადგურის ორგანოები**

1. ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი, მეთოდისტები და წრეების ხელმძღვანელები.

პედაგოგიური საბჭო იხილავს სადგურის მუშაობის შინაარსის საკითხებს, დაწესებულების გეგმებს და ანგარიშებს, საუკეთესო გამოცდილების შესწავლის, განზოგადების და გავრცელების საკითხებს და სხვ.

2. სადგურში იქმნება ხელშემწყობი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლაში ტურისტული მუშაობის საუკეთესო ორგანიზატორები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, კომკავშირის და პიონერული მუშაკები, მშობლები, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკები, მონადირეთა კავშირის წევრები, პრესის, რადიოს, მუზეუმის მუშაკები.

ხელშემწყობი საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით. იგი დახმარებას უწევს სადგურს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში და აგრეთვე მატერიალური სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში.

3. სადგურთან იქმნება პიონერული და სასკოლო აქტივის საბჭო ორგანიზატორული უნარის მქონე საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვიდან. აქტივის საბჭო წარმოადგენს ბავშვთა თვითმმართვე-

ლობის ორგანოს. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სადგურის მუშაობაში და მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI

### მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა

1. ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს აქვს სამუშაო გეგმა, კვარტალების მიხედვით შედგენილი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. ტურისტული მუშაობის ცალკეულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას ამტკიცებს სადგურის დირექტორი.

2. სადგური აწარმოებს წრეობრივი, მასობრივი და საინსტრუქციო-მეთოდური მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალს.

3. ბავშვთა საქსკურსიო-ტურისტული სადგურის პედაგოგიური საბჭო განიხილავს სადგურის ანგარიშს, რის შემდეგაც ანგარიში ეგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ და საკავშირო საბჭოებს.

## VI

### სადგურის ორგანიზაცია, მატერიალური ბაზა, დაფინანსება და შტატი

1. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური იხსნება საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, სახალხო სამეურნეო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობების ფარგლებში.

2. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის გაუქმება ან რეორგანიზაცია ხდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით.

3. სადგურის ქონება: შენობა, სხვადასხვა დამხმარე სათავსოებით, სასწავლო-სამეურნეო მოწყობილობა, საჭურველი, ინვენტარი წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილებას.

სადგური აწარმოებს დაკანონებული წესით ანგარიშგებას თავისი დამოუკიდებელი ბალანსით.

4. სადგური სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით დღიდან მისი რეგისტრაციისა: სადგურს უფლება აქვს გახსნას ბანკში მიმდინარე ანგარიში, მიიღოს ფული, დაწესებულების მუშაობასთან დაკავშირებით დადოს ხელშეკრულებები, დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნობების და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

სადგურს აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი და მიმდინარე ანგარიში ბანკში.

5. ბავშვთა ტურისტული სადგურის სახსრებს შეადგენს სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნობანი და სპეც-სახსრები.

6. ტურისტული სადგურის მთელი მუშაობა ტარდება მოცემულ წელს ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული ასიგნობების ფარგლებში.

7. ბავშვთა ტურისტულ სადგურს, გარდა დამტკიცებული შტატისა, უფლება აქვს აიყვანოს სამუშაოდ ჯგუფების ხელმძღვანელები, კონსულტანტები და სხვა სპეციალისტები. ჯგუფების ხელმძღვანელებისათვის, კონსულტანტებისათვის და სხვა სპეციალისტებისათვის ხელფასის ფონდს ამტკიცებს განათლების სამინისტრო სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა ფარგლებში.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

1963 წლის 11 დეკემბერი

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა
# საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებათა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორის მუშაობის შესახებ

## ზოგადი ნაწილი

1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტირება — ეს არის განათლების ორგანოების მიერ სააღმზრდელო დაწესებულებათა მუშაობის სახელმწიფო შემოწმება და ამავე დროს მათთვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა; იგი წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლს სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებების, დირექტივებისა და მითითებების განხორციელება-შესრულებაზე.

2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორის ამოცანაა უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლი ამ დაწესებულებებში მყოფ ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განხორციელებაზე, შეამოწმოს განათლების სამინისტროს სახელძღვანელო დოკუმენტების შესრულება, აამაღლოს საბავშვო ბაღებში მუშაობის ხარისხი, ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ჩამორჩენილ საბავშვო ბაღებს, სათანადოდ წარმართოს სკოლამდელი დაწესებულებების კადრებთან მუშაობა, შეისწავლოს და განაზოგადოს საბავშვო ბაღების საუკეთესო გამოცდილება.

3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორი უნდა იყოს უმაღლესი პედაგოგიური განათლებით, ჰქონდეს სკოლამდელთა დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ხუთი წლისა. იგი ღრმად უნდა იცნობდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაობას, კარგად იცოდეს სკოლამდელი აღზრდის მეთოდიკისა და ორგანიზაციის საფუძვლები, სისტემატურად იმაღლებდეს კვალიფიკაციას, რათა ერკვეოდეს სკოლამდელი პედაგოგიკისა და მომიჯნე მეცნიერებებში მოპოვებულ სიახლეებში. სკოლამდელ ინსპექტორს კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი განათლების სამინისტროს მიერ მიღებული პროგრამულ-მეთოდური დოკუმენტები „საბავშვო ბაღის დებულება", „აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამა", თვალყურს ადევნებდეს ახლადგამოსულ ლიტერატურას, ეცნობოდეს სკოლამდელთა სათამაშოებს, ხელსაწყოებს, შეეძლოს გაუწიოს რეკომენდაცია მათ საბავშვო ბაღებში გამოსაყენებლად.

## სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორის მუშაობის შინაარსი და ამოცანები

**4. სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორს შემდეგი მოვალეობანი ეკისრება:**

ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულების სისტემატური კონტროლი;

ბ) ქალაქის (რაიონის) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გამგეებისა და აღმზრდელების მუშაობის შემოწმება და მეთოდური დახმარების გაწევა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნიმუშების პრაქტიკულად ჩვენებით;

გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელობითი მუშაობის, რეჟიმის დაცვის, აგეგმვა-აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების, კვებისა და სხვა საკითხების შემოწმება;

დ) ბავშვებში ცოდნა-ჩვევების გამომუშავებისა და პროგრამების შესრულების შემოწმება;

ე) საბავშვო დაწესებულებებში აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და საუკეთესო ნიმუშების დანერგვის მიზნით ქალაქისა და რაიონის მეთოდური გაერთიანების ჩამოყალიბება და მათი ხელმძღვანელობა;

ვ) სკოლამდელი დაწესებულების მუშაობის შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციის საკითხებზე კონსულტაციების, თათ-

ბირების, პედაგოგიური კითხვის, ღია დღეებისა და მეცადინეობის სისტემატურად მოწყობა გამოცდილ პედაგოგ-მეთოდისტთა გამოყენებით; დრო და დრო სკოლამდელ დაწესებულებათა საქალაქო-სარაიონო დათვალიერების ჩატარება და საუკეთესოთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება-გავრცელება;

ზ) საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქტიური მონაწილეობის მიღება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიერ დასახულ ღონისძიებებში (კურსები და სემინარები) საბავშვო ბაღის (ბაგა ბაღის) მუშაკთა ჩაბმა დაუსწრებელ სწავლებაში, ახალგაზრდა აღმზრდელებისათვის დახმარების გაწევა, მათთვის მეთოდური ხასიათის ლიტერატურის შერჩევა და მისი გავრცელება;

თ) მშობელთა კომიტეტთან, შეფებთან, მშობლებთან და მოსახლეობასთან საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) მიერ ჩატარებული მუშაობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;

**შენიშვნა:** პირველადი გამოკვლევისას (წლის დასაწყისში) ინსპექტორი ეცნობა საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გამგისა და აღმზრდელების მუშაობას, აძლევს მათ სათანადო მითითებას და სახავს კონკრეტულ ამოცანებს; მეორედ გამოკვლევის დროს ინსპექტორი ამოწმებს მიცემულ მითითებების შესრულებას; მესამედ გამოკვლევისას,—აჯამებს მთელი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას, მის უარყოფით და დადებით მხარეებს.

## საბავშვო ბაღის ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმება

**5.** სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი ამოწმებს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) აღმზრდელობით მუშაობას ყველა ასაკობრივ ჯგუფში—განყოფილების მიხედვით როგორც მეცადინეობაზე, ისე მთელი დღის განმავლობაში, შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) სრულდება თუ არა საბავშვო ბაღში (ბაგა-ბაღში) აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამა და რა შედეგებს მიაღწიეს აღმზრდელებმა, რამდენად ფლობენ ისინი პედაგოგიურ ხერხებსა და მუშაობის მეთოდებს, როგორია გამგის, აღმზრდელების, ექიმის, მუსიკის მასწავლებლების სამუშაო გეგმები;

ბ) როგორია ბავშვთა გარეგნობა, რამდენად აქვთ მათ გამომუშავებული კულტურული ქცევების ჩვევები, როგორია მათი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი;

გ) როგორია ბავშვთა ფიზიკური განვითარება და რა სახის

გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი ტარდება—მოძრაობათა განვითარება, შრომითი საქმიანობა; რა ხელმძღვანელობას უწევს აღმზრდელი ბავშვების თამაშს; როგორ არის ორგანიზებული ჩვილი ბავშვის ფხიზლობა და გართობა, როგორია ბავშვების მეტყველება, გარემოში ორიენტირება და რა მუშაობას ატარებს აღმზრდელი ამ მიმართულებით; რა სახის მუშაობა ტარდება ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის, როგორაა მოწყობილი საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გარემო და როგორ იყენებენ აღმზრდელები მას; ბავშვების ნამუშევრები.

6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს:

ა) რამდენად სწორადაა შედგენილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რეჟიმი და ტარდება, თუ არა იგი ზუსტად;

ბ) რამდენად არიან ბავშვები უზრუნველყოფილი საჭირო დიდაქტიკური მასალებით, ხელსაწყოებითა და სათამაშოებით;

გ) როგორ ხელმძღვანელობს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გამგე პედაგოგიურ აღმზრდელობით მუშაობას;

დ) როგორ მიმდინარეობს პედაგოგიური თათბირის მუშაობა (გეგმიანობა, სისტემატურობა, განხილული საკითხების ხასიათი, სხდომები, ოქმები, დადგენილებათა შესრულების შემოწმება);

ე) როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა აღმზრდელებს; როგორია მათი დატვირთვა (სამუშაო დროის ხანგრძლიობა), საზოგადოებრივი მუშაობა;

ვ) როგორ არის დაყენებული საქმის წარმოება (დოკუმენტაციის წარმოება);

ზ) რით გამოიხატება ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა (მათი დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი).

წლის ბოლოს ინსპექტორი აჯამებს საბავშვო ბაღებში (ბაგა-ბაღებში) ჩატარებული მუშაობის შედეგებს და ამის საფუძველზე ადგენს წლიური მუშაობის ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს განათლების განყოფილების გამგეს. ანგარიშში იგი სახავს ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) სამეურნეო მდგომარეობის შემოწმება

7. ინსპექტორი ამოწმებს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გარემოსა და შენობის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, მოწყობილობას, ეზოს გამწვანებას და დაგეგმარებას (სათამაშო მოედანი,

ფიზკულტურული იარაღები, ბოსტანი, ყვავილნარი, ხილნარი), არკვევს რამდენად შეეფარდება მოწყობილობა, ავეჯი, ჭურჭელი, ხელსაწყოები, სათამაშოები ბავშვების ასაკს, ჯგუფების რაოდენობას, რამდენად აკმაყოფილებს იგი ჰიგიენურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს.

8. შეისწავლის ორგანიზაციის თვალსაზრისით თუ რამდენად სწორად არის გამოყენებული საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) ფართობი, დამხმარე ოთახები, სხვა სათავსოები, როგორია სათავსოების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; როგორ არის განაწილებული მუშაობა ტექნიკურ პერსონალს შორის, ამ პერსონალის მუშაობის ხარისხი გამგის ხელმძღვანელობა და კონტროლი, დაცულია თუ არა ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

9. კვების ორგანიზაციას საბავშვო ბაღში (ბაგა-ბაღში) ინსპექტორი ამოწმებს პირადი დაკვირვებით და დოკუმენტაციის საშუალებით: კვების ნორმები, სამზარეულოს სანიტარული მდგომარეობა, მზარეულის მუშაობა.

ინსპექტორი ამოწმებს ბაღის (ბაგა-ბაღის) შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას, გამგის კონტროლს ხარჯთაღრიცხვისა და საფინანსო დისციპლინის დაცვაზე. მოწმდება აგრეთვე მშრომელთა ფულადი გადასახადის სისწორე და ბანკში ფულის დროულად შეტანის მდგომარეობა.

10. საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) ბავშვთა მშობლებთან მუშაობის შემოწმებისას ინსპექტორი ეცნობა მშობელთა კომიტეტის გეგმებს, მშობელთა საერთო კრებებზე განხილულ საკითხებს, ზოგჯერ თვითონაც მონაწილეობს მუშაობაში, ეცნობა ჯგუფური კრებების დღის წესრიგს, მშობელთა მონაწილეობას ჯგუფის მუშაობაში; აღმზრდელთა მიერ ოჯახების შესწავლა შემოწმების მასალებს, მათ მიერ ჩატარებულ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, გულდასმით ამოწმებს მშობელთა კუთხის მასალებს როგორც შინაარსის, ისე გაფორმების მხრივ და ყველგან მოითხოვს ამ მასალების სათანადოდ გაფორმებას. იგი ეცნობა აგრეთვე მშობელთა კუთხეში არსებულ შთაბეჭდილებათა წიგნს, მშობელთა ჩანაწერებს. ინსპექტორი ამოწმებს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) საზოგადოებრივ მუშაობას და მოსახლეობაში ეწევა ფართო პროპაგანდას ბავშვთა აღზრდის საკითხებზე.

11. ინსპექტორი ღებულობს ქმედით ზომებს, რათა გაუმჯობესებული იქნეს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) ბავშვთა მშობლებთან მუშაობა და, რომ თითოეული კრება ტარდებოდეს მომზადებულად, ხარისხიანად, გარკვეული მიზანდასახულებით, რათა აღმზრდელები

ახლოს იდგნენ მშობლებთან. აუცილებელია ინსპექტორი კონკრეტულად აყალიბებდეს თავის წინადადებებს მშობელთა შრომის მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

## ინსპექტორის მუშაობის მეთოდები და ფორმები

12. საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) ინსპექტირებისას სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი იყენებს სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს: დაკვირვება, ბავშვების ნამუშევრების შესწავლა და ანალიზი; საუბარი საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) თანამშრომლებთან, მშობლებთან და ბავშვებთან; პედაგოგიური დოკუმენტაციის შემოწმება, მონაწილეობა მშობელთა კრებებისა და პედაგოგიური თათბირების ჩატარებაში და სხვ. ინსპექტირების პროცესში ინსპექტორი:

ა) ესაუბრება ჯგუფის აღმზრდელებს, ესწრება მათ მუშაობას, ეცნობა მასალებს;

ბ) აწყობს საჩვენებელ მუშაობას გამოცდილი აღმზრდელების გამოყენებით;

გ) მუშაობაზე დასწრების შემდეგ ატარებს დასკვნით საუბარს აღმზრდელებისათვის დახმარების გაწევის მიზნით;

დ) სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის შესწავლის საფუძველზე აკეთებს მოხსენებას პედაგოგიურ თათბირზე ცალკეული ჯგუფების მიხედვით, აღნიშნავს დადებით და უარყოფით მხარეებს და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიუთითებს გარკვეული ხერხებისა, მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესახებ.

13. მითითებებს, რომელსაც წინ უძღვის მოკლე კონსტატაცია არსებული მდგომარეობის შესახებ, ინსპექტორი ჩაწერს სპეციალურ ჟურნალში. ჟურნალში აღინიშნება სკოლამდელი დაწესებულებების შემოწმების თარიღი.

## ინსპექტორის უფლება

14. ინსპექტორს უფლება აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივების შესაბამისად ადგილებზე მისცეს სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებს მითითება და განკარგულება მუშაობის მეთოდების, დაწესებულების შინაგანაწესის, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ხელმძღვანელობის გარდაქმნა-გაუმჯობესების შესახებ. ამ მითითება-განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა სკოლამდელი დაწესებულებების გამგის, მოადგილისა და აღმზრდელებისათვის. უთანხმოების შემთხვევაში საკითხს სწყვეტს შესაბამისი განათლების განყოფილება.

15. საჭირო შემთხვევაში ინსპექტორი აყენებს საკითხს რაიონის, ქალაქის, განათლების განყოფილების წინაშე სკოლამდელი დაწესებულების პედაგოგიური კადრების უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისა და აგრეთვე შეუფერებელთა განთავისუფლებისა და ენერგიული და მომზადებული მუშაკების წახალისების შესახებ. სკოლამდელი ინსპექტორი მონაწილეობას ღებულობს ახლად დასანიშნი კადრების შერჩევაში.

## ინსპექტორის მუშაობის აგეგმვა

16. სკოლამდელ დაწესებულებათა ინსპექტორს უნდა ჰქონდეს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმები. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სათანადო ანგარიშების შედგენას სკოლამდელი დაწესებულებების გამოკვლევის მასალების საფუძველზე, მონაწილეობის მიღებას მეთოდური თათბირების, კომისიების მუშაობაში, ინსტრუქციულ-მეთოდური წერილების შედგენაში და სხვა. ინსპექტორს სრულ წესრიგში უნდა ჰქონდეს თითოეული საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) საქმე სათანადო დოკუმენტაციით.

სკოლამდელ ინსპექტორს სათანადო პირობები უნდა ჰქონდეს შექმნილი მუშაობისათვის და იგი არ უნდა იქნეს დატვირთული არაპირდაპირი მოვალეობებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

1963 წლის 16 დეკემბერი

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ

### 1. ზოგადი დებულებანი

1. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით სწავლადამთავრებულ მოქალაქეთა გამოცდები ტარდება იმ მიზნით, რომ გამოვლინებულ იქნეს მსმენელთა მყარი და სრულყოფილი ცოდნა პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. გამოცდები ტარდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მსმენელები აითვისებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით გათვალისწინებულ მთელ მასალას.

3. გამოცდები ტარდება სხვადასხვა ვადაში, იმის მიხედვით, თუ როდის დაამთავრებენ მსმენელები საპროგრამო მასალის გავლას.

4. წერა-კითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე წვევამდელთა გამოცდებს ატარებს მასწავლებელი სკოლის დირექტორის, რაიონის განათლების განყოფილებისა და სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

5. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა გამოსაშვებ გამოცდებს ატარებს მასწავლებელი სკოლის დირექტორისა და რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენლის თანდასწრებით.

6. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა შემოწმე-

ბითი გამოცდების შედეგები ფორმდება ოქმით, სადაც შეტანილ უნდა იქნეს მსმენელის გვარი, სახელი, მამის სახელი და შეფასების ნიშნები. ოქმს ხელს აწერს გამომცდელი მასწავლებელი, სკოლის დირექტორი და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარმომადგენელი. გაფორმებული ოქმი იგზავნება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში.

7. მსმენელებს, რომელთაც დაამთავრეს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით და ჩააბარეს გამოცდები დადებით ნიშნებზე, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება აძლევს დამთავრების მოწმობას იმის მიხედვით, თუ რომელი სასწავლო პროგრამით გაიარა კურსი.

8. მოწმობების გაცემის რეგისტრაცია ხდება განსაკუთრებულ წიგნში, რომელიც ინახება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში. წიგნში აღინიშნება რიგითი ნომერი, თარიღი, მსმენელის გვარი, ინიციალები და იმ პროგრამის დასახელება, რომლითაც მეცადინეობდა მსმენელი; ამასთან დასახელდება ის ორგანიზაცია, სადაც ჩატარდა სწავლება, აღინიშნება აგრეთვე ხელმოწერა მოწმობის მიღებაზე. შენიშვნაში შეიტანება რის საფუძველზე იქნა გაცემული მოწმობა.

9. გამოცდების შემდეგ წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით სწავლადამთავრებულებთან ტარდება საუბარი, სადაც მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით დაისახება მათი შემდგომი მეცადინეობის გეგმა, სწავლადამთავრებულებს ეძლევათ რჩევა იმის შესახებ, თუ სად უნდა განაგრძონ სწავლა, როგორ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, დაესწრონ ლექციას, მოხსენებას, მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან არსებულ სხვადასხვა წრეში და სხვ.

10. მსმენელები, რომლებმაც ლიკვიდაცია უყვეს წერა-კითხვის უცოდინარობას, იწყებენ მეცადინეობას მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით.

## გამოცდების ჩატარების წესი და ცოდნის შეფასება

11. ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა საწავლო პროგრამებით, აბარებენ გამოცდებს მშობლიურ ენასა და არითმეტიკაში (წერა და კითხვა), ხოლო მცირემცოდნენი—დამატებით გეოგრაფიაში.

12. მსმენელს გამოცდის დროს კითხვის ჩვევების შესამოწ-

მებლად სახელმძღვანელოდან ან ადგილობრივი გაზეთიდან უნდა მიეცეს იმგვარი მასალა, რომელიც წინათ არ წაუკითხავს; ტექსტის შრიფტი უნდა იყოს ისეთი, რომელსაც მიჩვეულნი არიან მოსწავლეები. მასალის შინაარსი უნდა იყოს მარტივი, უცნობი სიტყვებისა და ახალი ცნებებისაგან თავისუფალი.

13. მსმენელთა ცოდნის შეფასება წარმოებს ხუთბალიანი სისტემით.

14. გამოცდების დამთავრების შემდეგ მსმენელის ზეპირი პასუხის, მისი წერითი ნამუშევრისა და წლიური წარმატების საფუძველზე იწერება მისი ცოდნის შეფასება მშობლიურ ენაში (ცალკე კითხვაში და ცალკე წერაში), აგრეთვე არითმეტიკასა და გეოგრაფიაში.

15. კითხვისა და წერის ჩვევებისა და არითმეტიკის ცოდნის შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრაქტიკული ხასიათის საკითხებს: კითხვაზე პასუხის გაცემა, განცხადების დაწერა, მოკლე წერილის შედგენა, თარიღის დასმა, ამოცანის ამოხსნა მოსავლის გამოანგარიშების დარგიდან, გამომუშავების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გარკვევა და სხვა.

16. კითხვის ჩვევების შემოწმება ტარდება ინდივიდუალურად. მოსწავლე ტექსტს კითხულობს ჯერ თავისთვის. წერა-კითხვის უცოდინარ მსმენელს წასაკითხად მიეცემა 10-15 სიტყვიანი ტექსტი, მცირემცოდნე მსმენელს კი უფრო რთული, 50—100 სიტყვიანი ტექსტი.

როდესაც მსმენელი წაიკითხავს და მოიფიქრებს წაკითხულის შინაარსს, მასწავლებელი მისცემს მას წაკითხული ტექსტიდან 2—3 საკონტროლო კითხვას ან თუ ტექსტი თხრობისათვის მოსახერხებელია, წინადადებას აძლევს მსმენელს უამბოს წაკითხულის მოკლე შინაარსი. ამის შემდეგ მსმენელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს ტექსტის ნაწილი.

17- მსმენელი არ შეიძლება ჩაითვალოს სწავლადამთავრებულად, თუ მან ვერ გაიგო წაკითხული მასალა, კითხვის ცუდი ტექნიკის გამო, ან თუ მასალა გაიგო, მაგრამ გამართულად ვერ კითხულობს, ან ხშირად ამახინჯებს სიტყვებს.

18. წერის ჩვევების შემოწმებისათვის ტარდება კარნახი. გამოცდებზე მისაცემი კარნახის ტექსტს შეარჩევს და ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილება. კარნახის ტექსტი გადასაყვან გამოცდებზე უნდა

შედგებოდეს 15—25 სიტყვისაგან და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ ორთოგრაფიულ მოთხოვნებს. სიტყვები გასაგები უნდა იყოს მოსწავლეთათვის თავისი შინაარსით და მართლწერითი თავისი შედგენილობით (კარნახის ტექსტში არ უნდა იყოს გრძელი და ძნელად გასაგები სიტყვები).

კარნახის ტექსტი წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამით სწავლადამთავრებულთათვის უნდა შედგებოდეს 50—60 სიტყვისაგან და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ტექსტი მთლიანი შინაარსის უნდა იყოს.

19. მსმენელები კარნახს წერენ ცალკე ფურცლებზე. ზევიდან მსმენელი აწერს თავის გვარს, ინიციალებს და სამუშაოს შესრულების თარიღს.

20. მსმენელი არ ჩაითვლება სწავლადამთავრებულად, თუ მან ნაწერში ასოები გამოტოვა ან იმდენად დაამახინჯა სიტყვები, რომ ნაწერის გაგება ძნელია, ანდა დაუშვა კარნახში 5-ზე მეტი შეცდომა შესწავლილი წესებიდან.

კარნახში არასწორად დაწერილი ერთი და იგივე სიტყვის განმეორება ითვლება ერთ შეცდომად. ერთნაირი ხასიათის შეცდომები სხვადასხვა სიტყვაში ცალ-ცალკე აღირიცხება.

21. გადასაყვან წერით გამოცდებზე არითმეტიკაში წერა-კითხვის უცოდინარ მოსწავლეს მიეცემა 1—2 მოქმედებიანი ამოცანა და ოთხი მაგალითი მთელ რიცხვებზე მოქმედებიდან პროგრამის ფარგლებში.

მცირემცოდნე მოსწავლეს გამოსაშვებ გამოცდაზე არითმეტიკაში მიეცემა 2—3 მოქმედებიანი ამოცანა და 4 მოქმედებიანი 5—6 მაგალითი მთელ რიცხვებსა და მარტივ მოქმედებიან ათწილად ნაწევრებზე.

22. წერით საგამოცდო მასალას არითმეტიკაში ადგენს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება.

23. ზეპირი გამოცდები არითმეტიკაში ტარდება წერითი ნამუშევრების შემოწმების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსმენელის წერით ნამუშევარში არის შეცდომები, ზეპირ გამოცდებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკითხებს, რომლებშიც მსმენელმა შეცდომა დაუშვა.

24. მსმენელი არ ითვლება სწავლადამთავრებულად, თუ მისი წერითი ნამუშევარი არადამაკმაყოფილებლადაა შეფასებული, ან ზეპირ გამოცდებზე გამოამჟღავნა პროგრამით გათვალისწინებულ არითმეტიკულ მოქმედებათა აუთვისებლობა.

25. ამ ინსტრუქციის გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის 14 ოქტომბრის ინსტრუქცია „წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით სწავლადამთავრებულ მოსწავლეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

# მოწმობა №________

ამით დასტურდება, რომ ________________________________

________________________________რაიონის (ქალაქის) სოფელ

(ქუჩის) ________________________________ მცხოვრებმა

________________________________

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

196 წელს ჩააბარა წერა-კითხვის უცოდინართა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საგნები და გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

1. მშობლიურ ენაში: წერა ________

კითხვა ________

2. არითმეტიკაში ________

________________________________რაიონის (ქალაქის) განათ-

ბ. ა. ლების განყოფილების გამგე ________________

________________________________

სკოლის სრული დასახელება

დირექტორი (გამგე) ________________________________

„_____" ________________196 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

# მოწმობა №________

ამით დასტურდება, რომ ________________ __________

____________________ რაიონის (ქალაქის) სოფელ (ქუჩის)

______________________________ __________ მცხოვრებმა

______________________________________________

(სახელი, მამის სახელი, გვარი)

196   წელს ჩააბარა წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საგნები და გამოიჩინა შემდეგი წარმატება:

1. მშობლიურ ენაში: წერა ________

კითხვა ________

2. არითმეტიკაში ________

3. გეოგრაფიაში ________

____________________ რაიონის (ქალაქის) განათ-

ბ. ა. ლების განყოფილების გამგე ______________

______________________________________________

სკოლის სრული დასახელება

დირექტორი (გამგე) ______________________________

„_____" ____________________ 196   წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Утверждено
постановлением коллегии Министерства
просвещения Грузинской ССР

5 апреля 1963 года

## Нормы оценок письменных работ по арифметике учащихся I—IV классов начальной, восьмилетней и средней школы

Применение единых норм оценки должно способствовать повышению качества преподавания арифметики и внести единообразие в требования к знаниям и навыкам учащихся.

Единые нормы, являясь основой при оценке знаний и навыков учащихся, не освобождают учителя от обязанности индивидуально подходить к оценке знаний каждого учащегося: при оценке письменной работы ученика учтель должен обращать внимание на качество выполнения задания в целом, на отдельные ошибки, допущенные учеником, и на их характер.

Письменные контрольные работы обычно приурочиваются к концу изучения того или иного раздела или темы курса и проводятся не менее четырех раза в четверти. Однако, как правило, в такие письменные работы должны влкючаться также задачи и примеры, решение которых требует применения знаний не только по данной теме, но и других ранее пройденных разделов программы.

При помощи письменных контрольных работ проверяются вычислительные, измерительные и другие практические навыки учащихся, умение решать арифметические задачи и составлять задачи на местном материале. В то же время все письменные работы по арифметике должны способствовать закреплению и углублению знаний учащихся.

По своему содержанию контрольные работы должны полностью соответствовать программным требованиям каждого класса.

## Содержание и объем контрольных работ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Письменная контрольная работа может включать в себя:

### II класс

В первом полугодии: а) двенадцать-шестнадцать примеров в одно действие, или б) две задачи в одно-два действия, или в) одну задачу в два действия и шесть—восемь примеров в одно действие;

Во втором полугодии: а) шестнадцать—двадцать примеров в одно действие, или б) две задачи в два-три действия, или в) одну задачу в три действия и шесть—восемь примеров в одно действие.

### III класс

а) шесть—восемь примеров в одно действие, или б) две задачи—одну в три-четыре действия, другую—в два-три действия (первая из них решается, как правило, с письменными вопросами, вторая—только с записью действий), или в) одну задачу в три-четыре действия и три-четыре примера в одно действие.

### IV класс

а) семь-восемь примеров в одно действие, или четыре примера в одно действие и один сложный пример на порядок действий, или б) две задачи—одну в четыре-пять действий, другую—в два-три действия; первая из них решается с письменными вопросами, вторая—только с записью действии, или в) одну задачу в четыре-пять действии и три-четыре примера в одно действие, или г) одну задачу в четыре-пять действий и один сложный пример на порядок действий.

Примечания. 1. В контрольную работу в качестве второй задачи можно вводить начиная со II класса задания по измерению и черчению отрезков, по решению задач с пропущенными числовыми данными с тем, чтобы дети сами заполняли эти пропуски, используя знания, приобретенные на предыдущих уроках; начиная с III класса—задания составить и решить задачу в одно-два действия, выполнить то или иное задание практического характера (например, вычислить среднюю температуру по данным

календаря природы, вычислить расстояние, используя знание длины своего шага и др.).

2. Сложный пример на порядок действий, если он дан с небольшими числами и удобен для устных вычислений, приравнивается к двум простым примерам в одно действие.

По времени контрольные работы в начальных классах расчитываются на один урок.

Объем каждой работы должен быть таким, чтобы учащиеся имели возможность на уроке не только выполнить её, но и проверить.

## Типы ошибок в письменных работах по арифметике

**Грубыми ошибками** считаются:

1. Ошибки в вычислениях, связанные с незнанием приемов и правил выполнения действий (если они встречаются более одного раза).

2. Ошибки в решении задачи (пропуск действий, выполнение ненужных действий, неправильный выбор действий, неправильная постановка вопроса, несоответствие вопроса выбранным числам и действию, ошибки в наименованиях), свидетельствующие о непонимании учащимся смысла выполняемых действий.

Примеры возможных грубых ошибок в решении следующей задачи: „С первого поля собрали 360 *ц* картофеля, со второго — на 240 *ц* больше; 1/5 собранного картофеля оставили на семена, остальной картофель сдали в столовую. Сколько центнеров картофеля сдали в столовую?"

При решении этой задачи грубой ошибкой будет:

а) пропуск действия, например: 1) $360ц + 240ц = 600ц$; 2) $600 : 5 = 120ц$; 3) $600ц - 120ц = 480ц$; пропущено второе действие: $360ц + 600ц = 960ц$;

б) выполнение ненужных действий, например: 1) $360ц + 240ц = 600ц$; 2) $360ц + 600ц = 960ц$; 3) $960ц : 5 = 192ц$; 4) $960ц - 192ц = 768ц$; 5) $960ц - 768ц = 192ц$;

в) неправильный выбор действия, например, вместо $369\,ц + 240ц = 600ц$ написано $360 \times 240 = 86\,400$.

г) неправильный выбор числовых данных, например: $960ц - 240ц = 720ц$;

д) неправильная постановка вопроса, например: „Сколько

картофеля собрали с обоих полей?"—в качестве первого вопроса приведенной выше задачи.

е) ошибки в наименованиях, свидетельствующие о непонимании учащимися решаемого вопроса, например: $960ц:5ц=192ц$ картофеля—в третьем действии задачи.

3. Ошибки в измерениях, свидетельствующие о том, что ученик не овладел элементарными умениями в этой области, например, когда ученик при измерении с помощью линейки ведет отсчет не от 0, а от 1, или когда ученик, выполняя задание на опредление объема данной коробки, бруска и др., вместо того чтобы измерить длину, ширину и высоту параллелепипеда, дважды измеряет длину или ширину.

4. При составлении детьми задач: а) несоответствие условия задачи заданию учителя, б) отсутствие в задаче необходимых данных, в) постановка в задаче такого вопроса, ответ на который уже содержится в условиях задачи, г) использование в задаче чисел, не соответствующих действительности (когда, например, ученик указывает скорость пешехода в 200 *км* в час, вес мешка картофеля в 3 *т*. и т. д.).

**Негрубыми ошибками** считаются:

1. Пропуск наименований, например: $360+240=600ц$, либо постановка их там, где не следует стаивить, например, 35 руб. $\times$ 6 *м* $=$ 210 руб.

2. Неточно сформулированный вопрос при решении задачи, например: „Сколько картофеля оставили?"—в качестве третьего вопроса приведенной выше задачи вместо: „Сколько центнеров картофеля оставили на семена?"

3. Недоведение до конца преобразования, например, в простом наименованном числе не сделано превращения: $325\ кг \times 160 =$ $= 52\,000\ кг$.

4. При составлении детьми задач и выполнении ими практических заданий к числу негрубых ошибок относятся: а) введение в условия задачи лишних числовых данных, б) незначительные отклонения от истины числовых данных, например, когда указывается скорость пешехода 7—8 *км* в час, средняя длина детского шага 1 *м* и т. д.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Недочетами** считаются:

1. Нерациональный прием в вычислениях, например:

$$\begin{array}{r} \times\ 358 \\ 208 \\ \hline 2864 \\ 000\phantom{0} \\ 716\phantom{00} \\ \hline 74464 \end{array} \qquad \begin{array}{r|l} 3720 & 10 \\ \cline{2-2} -30\phantom{00} & 372 \\ \cline{1-1} 72\phantom{0} & \\ -70\phantom{0} & \\ \cline{1-1} 20 & \\ -20 & \\ \cline{1-1} 0 & \end{array}$$

2. Описки при списываний числовых данных или знака действия при правильном решении, например, вместо $65+18=83$ ученик записал: $66+18=84$ или $65-18=47$; допущение не строго поразрядной подписи одноименных разрядов в письменных вычислениях (столбиком), не повлиявшей, однако, на правильность вычислений.

**Примечания.** 1. Ошибка, имеющая характер грубой, может быть отнесена к числу негрубых ошибок, если она встречается в работе только в одном случае из нескольких аналогичных.

2. За грамматические ошибки, допущенные в работе, оценка по арифметике не снижается; эти ошибки принимаются во внимание учителем при оценке знаний по русскому языку,

## Нормы оценок

### Письменные работы, состоящие только из примеров

**Оценка „5“** ставится, если все примеры решены правильно, в вычислениях применены наиболее рациональные приемы, записи решения примеров выполнены правильно и расположены последовательно, сделана проверка решения в тех случаях, когда это требуется учителем.

**Оценка „4“** ставится, если в работе допущено до трех негрубых ошибок.

**Оценка „3“** ставится, если в работе допущены три-четыре ошибки, из которых не более двух грубых ошибок.

**Оценка „2“** ставится, если при решении примеров допущено до шести ошибок, из которых не более трех грубых.

**Оценка „1"** ставится если в работе допущено свыше трех грубых ошибок.

Примечания: 1. Положительная оценка „3" может быть выставлена ученику, выполнившему работу неполностью, если он безошибочно выполнил не менее двух третей объема всей работы.

2. При оценке всех письменных работ три недочета приравниваются к одной негрубой ошибке.

## Письменные работы, состающие только из задач

**Оценка „5"** ставится, если задача решена правильно: правилен ход решения задачи, точно сформулированы все вопросы, правильно поставлены наименования, все вычисления выполнены верно с применением наиболее рациональных приемов, записи выполнены грамотно, расположены последовательно.

В случае, если ученик дает свой оригинальный, рациональный прием решения задачи, оценка „5" может быть поставлена и при наличии в работе одного-двух недочетов.

**Оценка „4"** ставится, если правилен ход решения задачи, но при решении опущено не более трех негрубых ошибок.

**Оценка „3"** ставится, если при правильном ходе решения задачи допущено до четырех ошибок, причем не более двух грубых.

**Оценка „2"** ставится, если ход решения задачи неправилен, а также если при правильном ходе решения допущено более двух грубых ошибок.

**Оценка „1"** ставится, если ученик не приступил к работе или свел решение к случайному комбинированию чисел.

## Письменные работы, состоящие из примеров и задач

В тех случаях, когда письменная работа состоит из примеров и задач или из двух задач, ставится одна общая оценка. При этом надо иметь в виду следующее:

Если обе части работы выполнены одинаково (например, обе отлично, хорошо и т. д.), эта оценка и должна быть общей для всей работы в целом.

Если же каждая составная часть работы заслуживает различной оценки и эта разница составляет один балл (например, „5" и „4" или „4" и „3"), то за работу в целом может быть поставлена высшая из двух оценок в том случае, когда она относится к основной части работы, т. е. той части, которая в

данной контрольной работе является наиболее значимой и наибольшей по своему объему, в противном случае за работу в целом ставится низшая оценка.

Если одна часть работы оценена отметкой „5", а другая— „3", то учитель может оценить такую работу отметкой „4", когда основная часть работы может быть оценена высшей отметкой, в противном случае работа оценивается отметкой „3".

И, наконец, если одна из частей работы выполнена хорошо или отлично, а другая—плохо, то всю работу учитель может оценить отметкой „3" в том случае, когда хорошо и отлично выполнена основная часть работы, в противном случае выставляется неудовлетворительная оценка.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Утверждено
постановлением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР
5 апреля 1963 г.

## Нормы оценок письменных работ по математике в V—XI классах

Единые нормы являются основой при оценке как контрольных, так и всех других письменных работ по математике. Применяя эти нормы, учитель должен индивидуально подходить к оценке каждой письменной работы учащегося; обращать внимание на качество выполнения работы в целом, а затем уже на количество ошибок и на их характер.

Содержание и объем материала, включаемого в контрольные письменные работы, а также в задания для повседневных письменных упражнений, практических и лабораторных работ, определяются требованиями, установленными программой. При этом контрольные и другие письменные работы по математике должны содержать не только материал по изучаемой или только что изученной теме программы, но и задания на применение ранее усвоенных знаний. Контрольные письменные работы должны способствовать закреплению и углублению знаний учащихся.

Контрольные работы должны проводиться не менее четырех раз в четверти в V—VII классах и не менее трех—в VIII—XI классах; содержание работ должно соответствовать отдельным разделам изучаемой темы. Наряду с контрольными работами по отдельным разделам темы следует проводить итоговые контрольные работы по всей изученной теме.

По характеру заданий письменные работы могут состоять: а) только из примеров; б) только из задач; в) из задачи и примеров.

Контрольные работы, которые имеют целью проверку знаний, умений и навыков учащихся по целому разделу программы, а также по материалу, изученному за четверть или полугодие, как правило, должны состоять из задач и примеров.

Оценка письменной работы определяется с учетом прежде всего её общего математического уровня, оригинальности, последовательности, логичности её выполнения, а также числа ошибок и недочетов и качества оформления работы. Ошибка, повторяющаяся в одной работе несколько раз, рассматривается как одна ошибка.

За орфографические ошибки, допущенные учениками, оценка не снижается; об орфографических ошибках доводится до сведения преподавателя русского языка. Однако ошибки в написании математических терминов, сообщенных учителем на уроке, должны учитываться как недочеты в работе.

## Ошибки, встречающиеся в V—X классах

При оценке письменных работ по математике различаются грубые, негрубые ошибки и недочеты.

**Грубыми** считаются ошибки, показывающие, что ученик не усвоил основных теоретических вопросов темы или не умеет применять их к решениям различных задач. Так, например, к грубым относятся ошибки, свидетельствующие: о незнании основных формул, правил, теорем и явном неумении их применять, а также мотировать их применение; о незнании приемов решения задач, аналогичных ранее изученным; о неумении составлять уравнения по условиям задачи; об отсутствии достаточно четких геометрических представлений, необходимых для решения задачи. К грубым относятся также ошибки логического порядка.

Примечание. Если грубая ошибка встречается в работе только в одном случае из нескольких аналогичных, то при оценке работы эта ошибка может быть приравнена к негрубой.

Примерами негрубых ошибок являются:

не вполне точно сформулированный вопрос или пояснение при решении задач;

неточность чертежа, говорящая о слабом пространственном воображении ученика, об отсутствии умения правильно изображать пространственные фигуры на плоскости;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

отбрасывание без объяснения одного из корней уравнения или сохранение в ответе постороннего корня и т. п.

**Недочетами** считаются нерациональные записи при вычислениях, нерациональные приемы вычислений, преобразований и решений задач, небрежное выполнение чертежей и схем, отдельные погрешности в формулировке вопроса или ответа и другие недостатки работы, вызванные недостаточным вниманием учащихся, например: неполное сокращение дробей или членов отношения; обращение смешанных чисел в неправильную дробь при сложении и вычитании, пропуск наименований; пропуск чисел в промежуточных записях; перестановка цифр при записи чисел; ошибки, допущенные при переписывании; неточности в выполнении чертежа, выражающиеся в отступлении от общепринятого изображения линий, недостаточной наглядности и четкости изображения и т. п.

## Оценка письменной работы на решение примеров по арифметике, алгебре и элементарным функциям

**Оценка „5“** ставится за безукоризненное выполнение письменной работы, т. е.

а) если решение всех примеров верное;

б) если все действия и преобразования выполнены правильно, без ошибок; все записи хода решения расположены последовательно, а также сделана проверка решения в тех случаях, когда это требуется.

**Оценка „4“** ставиться за работу, которая выполнена в основном правильно, но допущена одна негрубая ошибка или два-три недочета.

**Оценка „3“** ставится в следующих случаях:

а) если в работе имеется одна грубая ошибка и не более одной негрубой ошибки;

б) при наличии грубой ошибки и одного-двух недочетов;

в) при отсутствии грубых ошибок, но при наличии от двух до четырех негрубых ошибок;

г) при наличии двух негрубых ошибок и не более трех недочетов;

д) при отсутствии ошибок, но при наличии более трех недочетов.

**Оценка „2“** ставится, когда число ошибок превосходит норму, при которой может быть выставлена положительная оценка, или если правильно выполнено менее 2/3 всей работы.

**Оценка „1“** ставится, если ученик совсем не выполнил работы.

Примечания. 1. Оценка „5“ может быть поставлена, несмотря на наличие одного-двух недочетов, если ученик дал оригинальное решение задачи, свидетельствующее о хорошем математическом развитии.

2. Положительная оценка „3“ может быть выставлена ученику, выполнившему работу не полностью, если он безошибочно выполнил не менее двух третей объема всей работы.

**Оценка письменной работы на решение задачи по арифметике**

**Оценка „5“** ставится в том случае, когда задача решена правильно: ход решения задачи верен, все действия и преобразования выполнены верно и рационально; в задаче, решаемой с письменным планом, даны точные и правильные формулировки вопросов; в задаче решаемой с объяснением, даны правильные и полные объяснения; записи правилны, расположены последовательно, дан верный и исчерпывающий ответ на вопросы задачи; сделана проверка решения в тех случаях, когда это требуется условием.

**Оценка „4“** ставится в том случае, если при правильном ходе решения задачи допущена одна негрубая ошибка или два-три недочета.

**Оценка „3“** ставится в том случае, если ход решения правилен, но:

а) допущена одна грубая ошибка и не более одной негрубой;

б) допущена одна грубая ошибка и не более двух недочетов;

в) допущены три-четыре негрубые ошибки;

г) допущено не более двух негрубых ошибок и трех недочетов;

д) при отсутствии ошибок, но при наличии более трех недочетов;

**Оценка „2“** ставится в том случае, когда число ошибок превосходит норму, при которой может быть выставлена положительная оценка.

**Оценка „1“** ставится в том случае, если ученик совсем не выполнил работы.

Примечания. 1. Оценка „5“ может быть поставлена, несмотря на наличие описки или недочета, если ученик дал оригинальное решение, свидетельствующее о его хорошем математическом развитии.

2. Положительная оценка „3“ может быть выставлена ученику, выполнившему работу не полностью, если он безошибочно выполнил не менее двух третей объема всей работы.

## Оценка письменной работы на решение задачи по алгебре

**Оценка „5“** ставится в том случае, когда задача решена правильно: ход решения правилен, способ решения задачи выбран наиболее простой, все действия и преобразования выполнены верно—даны объяснения к выбору неизвестных, введению обозначений и обосновано составление уравнения или системы уравнений; все записи хода решения задачи верны и аккуратны, расположены последовательно; дан исчерпывающий ответ на вопрос задачи и установлено соответствие решения условию задачи.

**Оценка „4“** ставится в том случае, если ход решения задачи правилен, но в работе имеется одна негрубая ошибка или два-три недочета.

**Оценка „3“** ставится в тех случаях, когда ход решения задачи правилен, правильно составлено уравнение, но:

а) допущена одна грубая ошибка и не более одной негрубой ошибки.

б) допущена одна грубая ошибка и не более двух недочетов;

в) при отсутствии недочетов допущено три-четыре негрубые ошибки;

г) допущено не более двух негрубых ошибок и трех недочетов;

д) при отсутствии ошибок, но при наличии боле трех недочетов.

**Оценка „2“** ставится в тех случаях, когда число ошибок превосходит норму, при которой может быть выставлена положительная оценка.

**Оценка „1“** ставится в том случае, если ученик совсем не выполнил работы.

Примечания. 1. Объяснения к выбору неизвестных и введению обозначенний могут быть различными по форме: в виде связного текста, в виде таблиц или схем с указанием наименования величин и сохранения их размерности.

2. Оценка „5“ может быть поставлена, несмотря на наличие описки или недочета, если ученик дал оригинальное решение, свидетельствующее о его хорошем математическом развитии.

3. Положительная оценка „3“ может быть выставлена ученику, выполнившему работу не полностью, если он безошибочно выполнил не менее двух третей объема всей работы.

## Оценка письменной работы на решение задачи по геометрии

**Оценка „5“** ставится в том случае, если задача решена правильно: все обоснования, объяснения, формулировки верны и рассуждения последовательны; все чертежи сделаны правильно, четко; все записи хода решения задачи верны, расположены последовательно, наименования поставлены правильно; дан исчерпывающий ответ на вопрос задачи; при решении задачи на построение выполнены, если это требуется заданием, все этапы работы—анализ, построение, доказательство и исследование.

**Оценка „4“** ставится в том случае, если ход решения задачи правилен, но в работе имеется одна негрубая ошибка или два-три недочета.

**Оценка „3“** ставится в тех случаях, когда ход решения правилен, но;

а) допущена одна грубая и не более одной негрубой ошибки;

б) допущена одна грубая ошибка и не более двух недочетов;

в) допущено не более двух негрубых ошибок и трех недочетов;

г) ход решения задачи правилен, но допущены три четыре негрубые ошибки;

д) при отсутствии ошибок допущено более трех недочетов.

**Оценка „2“** стовится в тех случаях, когда число ошибок превосходит норму, при которой может быть выставлена положительная оценка.

**Оценка „1“** ставится в том случае, если ученик совсем не выполнил задания.

## Оценка комбинированных письменных работ по математике

Письменная работа по математике, подлежащая оценке, может состоять из задач и примеров (комбинированная работа). В этом случае преподаватель сначала дает предварительную оценку каждой части работы, а затем общую, руководствуясь следующим:

а) если обе части работы оценены одинаково, то эта оценка должна быть общей для всей работы в целом;

б) если оценки частей разнятся на один балл, например, даны отметки „5“ и „4“ или „4“ и „3“ и т. п., то за работу в целом, как правило, ставится низшая из двух оценок, но при этом учитывается значение каждой из частей работы;

в) низшая из двух данных оценок ставится и в том случае, если одна часть работы оценена баллом „5“, а другая—баллом „3“; в этом случае преподаватель может оценить такую работу в целом баллом „4“ при условии, что оценка „5“ поставлена за основную часть работы;

г) если одна из частей работы оценена баллом „5“ или „4“, а другая—баллом „2“ или „1“, то за всю работу в целом ставится балл „2“, но преподаватель может оценить всю работу баллом „3“ при условии, что высшая из двух данных оценок поставлена за основную часть работы.

Примечание. Основной считается та часть работы, которая включает больший по объему или наиболее важный по значению материал по изучаемым темам программы.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 11 დეკემბრის ბრძანება № 1119

### სკოლებში საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში საზამთრო არდადეგები ჩატარდეს 1963 წლის 30 დეკემბრიდან 1964 წლის 10 იანვრამდე ჩათვლით. მეცადინეობა შეწყდეს 1963 წლის 28 დეკემბერს, შაბათს გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1964 წლის 11 იანვარს, შაბათს.

2. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) 31 დეკემბრამდე ჩაატარონ პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელი სხდომები. სხდომებზე განიხილონ სასწავლო წლის მეორე მეოთხედის შედეგები; საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთონ მეორე მეოთხედის მანძილზე ჩატარებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, დასახონ სათანადო ღონისძიებანი სწავლების გაუმჯობესების, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

3. 2-დან 5 იანვრამდე ყველა სკოლაში ჩატარდეს მშობელთა საერთო კრებები კლასების მიხედვით. კლასის ხელმძღვანელებმა ამ კრებებზე გააცნონ მშობლებს მოსწავლეთა მოსწრების შედეგები და ხელზე მისცენ მათ ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობები.

4. სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

ა) მოსწავლეთა კულტურული გართობის მიზნით მოაწყონ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დილა-საღამოები ინსცენირებებით, მხატვრული კითხვით, მოსწავლეთა გუნდებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა გამოსვლით და სხვ.

ბ) სანახაობათა (კინო, თეატრი) დაწესებულებების ხელმძღვანელებთან წინასწარ შეთანხმებით მოაწყონ კოლექტიური დას-

წრება საბავშვო კინოსურათებსა და სპექტაკლებზე; ლაშქრობანი სპორტის სხვადასხვა სახეში;

გ) მოაწყონ ახლომდებარე მუზეუმების, ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილების დათვალიერება.

5. არდადეგების პერიოდში, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ექიმების ხელმძღვანელობით ჩატარდეს სასკოლო შენობების, საძინებელი კორპუსებისა და კარმიდამოს გენერალური დასუფთავება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 21 დეკემბრის ბრძანება № 1154

### რესპუბლიკის სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებების შესაბამისად რვაწლიან და საშუალო სკოლებში ქიმიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 1964 წლის იანვრის არდადეგების პერიოდში, 5—10 რიცხვებში, ჩატარდეს ერთდღიანი თათბირები ქალაქებსა და რაიონებში ყველა საგნის მასწავლებელთათვის თემაზე—სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და სკოლის ამოცანები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრის დასაწყისში უზრუნველყონ დეკემბრის პლენუმის დადგენილებების ღრმად შესწავლა მასწავლებელთა კოლექტივების მიერ; ამასთანავე გაატარონ ღონისძიებები უფროსი კლასის მოსწავლეებისათვის პლენუმის დადგენილებების ძირითადი საკითხების გასაცნობად.

3. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (დირექტორი ამხ. გ. ფოფხაძე):

ა) სამეცნიერო-საკვლევო თემებად გაითვალისწინოს ქიმიის სწავლების აქტუალური საკითხები, გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებიდან;

ბ) პლენუმის დადგენილების შესაბამისად გადაამუშაოს რვაწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები ქიმიაში;

გ) წარმოადგინოს წინადადებანი ბიოლოგიის, ქიმიის და გეოგრაფიის მეთოდიკების სექტორიდან ქიმიის სწავლების მეთოდიკის დამოუკიდებელ სექტორად გამოყოფის შესახებ.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი თ. ზახაშვილი):

ა) მოაწყოს უახლოეს დროში სამდღიანი კურს-სემინარი ქალაქების და რაიონების ქიმიის მასწავლებელთა აქტივისათვის (თითო კაცი ქალაქებიდან და რაიონებიდან) თემაზე „დეკემბრის პლენუმის დადგენილება და ქიმიის სწავლების ამოცანები";

ბ) ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმებში შეიტანოს სათანადო ცვლილებები დეკემბრის პლენუმის დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანათა შესაბამისად;

გ) დაამზადოს დასაბეჭდად ქიმიის საპროგრამო თემების სწავლების შესახებ მეთოდური წერილები ქალაქისა და სოფლის სკოლებისათვის.

5. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (გამგე ამხ. ტ. ტყემალაძე) უზრუნველყოს ქიმიის საპროგრამო თემების სწავლების შესახებ მეთოდური წერილებისა და ლიტერატურის გამოცემა პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად ქალაქებისა და სოფლის სკოლებისათვის; ამ მუშაობაში ჩააბას პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და სკოლის მოწინავე მასწავლებლები.

6. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (უფროსი ამხ. დ. ჯავახია):

ა) შეარჩიოს ქალაქად და სოფლად ისეთი სკოლები, სადაც სათანადო პირობებია მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის ქიმიურ სპეციალობაში (ქიმიკოს-შეანალიზე, ქიმიკოს-ლაბორანტი, ქიმიკოს-მეაპარატე, აგროქიმიკოსი და სხვ.) და წარმოადგინოს წინადადებანი ამ სკოლებში ქიმიური განხრების მოწყობის შესახებ;

ბ) სკკპ დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და წარმოუდგინოს კოლეგიას დასამტკიცებლად არა უგვიანეს 25 დეკემბრისა.

7. განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყოების ბაზამ (გამგე ამხ. დ. კომლაძე) არსებითად გააუმჯობესოს სკოლების მომარაგება ქიმიის ხელსაწყო-იარაღებით, ჭურჭლით, რეაქტივებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით.

8. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ დეკემბრის პლენუმის დადგენილებების შესრულების მიმართულებით სკოლების და განათლების ორგანოების საქმიანობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---

Ც.2/32
ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა 1963—64 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ . . . . . . 3
2. ბრძანება № 1049—სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების ვადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 13
3. ბრძანება № 1050—თბილისის ოქტომბრის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 15
4. ბრძანება № 1061—სპორტის ტექნიკურ სახეებში საკავშირო III სპარტაკიადისათვის მზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 19
5. ბრძანება № 1109—სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ზამთრისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22
6. ბრძანება № 1142—ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 26
7. ბრძანება № 1150—ქ. ტყიბულში, ახალქალაქის, ზესტაფონისა და წყალტუბოს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . 37
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 30 სექტემბრის № 5|2476 მიმართვა მასწავლებლების და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანის, განთავისუფლებისა და აგრეთვე სასწავლო დატვირთვის განაწილების წესის შესახებ . . . . . . . . . . 40
9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 6 დეკემბრის № 1/2898 სკოლებში სახელმწიფო ქონების დაცვის შესახებ . . . . 42
10. დებულება პიონერ-მოსწავლეთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზებისა . 45
11. დებულება ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47
12. დებულება საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებათა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ინსპექტორის მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 55
13. ინსტრუქცია წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ . . . . 62
14. Нормы оценок письменных работ по арифметике учащихся I—IV классов начальной, восьмилетней и средней школы . . . . 69
15. ბრძანება № 1119 სკოლებში საზამთრო არდადეგების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83
16. ბრძანება № 1154—რესპუბლიკის სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 85